სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 31 იანვარი 2008 №020 (3244) ფასი 50 თეთრი

თითქმის დეტექტიური მუჯირი

არგუმენტები: გაუშვა იმან, ვინც მიიყვანა გაუშვა იმან, ვინც ალარ არის

დავით მუჯირი და მალხაზ ასათიანი თანაგუნდელები არიან

დავით მუჯირი სამარის „კრილია სოვეტოვიდან“ მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდა.

ქართველმა ფეხბურთელმა მოსკოველებთან გუშინ გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი და გუშინვე „ლოკომოტივს“ ესპანურ შეკრებაზე შეუერთდა.

ეს ამბავი ჩვენთვის და ჩვენი რუსი კოლეგებისთვისაც ძალიან მოულოდნელი გამოდგა. იქამდე ნათქვამი იყო, რომ დავით მუჯირი ავდრის გამო გახლდათ მოსკოვში შეყოვნებული და აწ უკვე თავის ყოფილ „კრილიას“ ამ მიზეზით ვერ ჩააკითხა იმავ ესპანეთში.

საქმე კი სხვაგვარად ყოფილა. 30 წლის მუჯირი, რომელიც უკვე 10 წელიწადია, ეროვნულ გუნდში თამაშობს, მოსკოვის „ლოკომოტივთან“ სატრანსფერო ამბებზე ლაპარაკობდა. საბოლოოდ ყველაფერი სამწლიანი კონტრაქტითა და მუჯირისთვის „ლოკომოტივის“ მაისურით დამთავრდა. დღეს ის უკვე მოსკოველებთან ერთად ემზადება რუსული პრემიერლიგის ახალი სეზონისთვის.

ამასობაში კი, „კრილია“ ფიფაში ჩივილით იმუქრება, მუჯირმა „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი უჩვენოდ გააფორმაო. არადა, როგორც გავიგეთ, სხვანაირი ამბავია: დავით მუჯირმა თავის დროზე „კრილიას“ იმ ხელმძღვანელობასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ახლა სამარელებს აღარ პატრონობს და „ლოკომოტივსაც“ მუჯირთან კონტრაქტზე თანხმობა სწორედ სამარელთა ძველი ხელმძღვანელებისგან მიუღია.

თავად ფეხბურთელისთვის კი მოსკოვში პასპორტი ახალ დირექტორს დაუტოვებია.

მოკლედ, იურიდიული ამბებია და „კრილიას“ ქართველი არ ეთმობა. ხოლო „ლოკომოტივმა“ მუჯირის მასთან გადასვლის ამბავი უკვე გაახმაურა და დღესხვალ კლუბის სხვა ახალწვეულებთან ერთად ჩვენიანსაც ოფიციალურად წარადგენს.

ჩვენ კი ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ დავით მუჯირი მალხაზ ასათიანის თანაგუნდელია. მით უმეტეს, ესპანეთში ისინი უკვე ერთად არიან.

ძოგა ინასარიძე

დღე მეორე და ორი დღე პორტუგალიამდე

გადრი ჯოლილაძის ფოტო

„პორტუგალიასთან ყოველთვის რთული მატჩები გვქონდა, ახლა კი ურთულესი შეხვედრა გველის, რადგან მსოფლიოს თასის შემდეგ ჩვენს ნაკრებში თაობათა ცვლა დაიწყო და მეტოქეს გადახალისებული შემადგენლობით ვეთამაშებით“ — გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ირაკლი აბუსერიძემ, როდესაც ჩვენებმა „ოლიმპის“ სკოლის დათოვლილ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ივარჯიშეს.

ქართველმა „ლელოებმა“ ახალი მწვრთნელის ტიმ ლეინის თავკაცობით გუშინ მეორე სავარჯიშო დღე დაასრულეს. როგორც მწვრთნელმა გვითხრა, გუნდი ნელ-ნელა ითვისებს სიახლეებს.

ჩვენების მეტოქე პორტუგალია კი ხვალ გამთენიისას ჩამოფრინდება თბილისში.

ალექსანდრ ბარანოვსკი

ალექსანდრ ფედოსეევი

ლოკომოტივი ერთს ამბობს, კრილია სოვეტოვი — მეორეს

რა მოხდა მანამ, სანამ დავით მუჯირს პოლიტიკა დაეძებდა?

გუშინ თბილისი-სამარა-მოსკოვს შორის ჩაკარგული დავით მუჯირი ხმაურიანად გამოჩნდა — საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც მისი ყოფილი კლუბი, სამარის „კრილია სოვეტოვი“ გუშინვე ტრანსფერის არალეგიტიმურობაზე ალაპარაკდა.

ყველაფერი 25 იანვარს დაიწყო: მუჯირი „კრილიას“ ესპანურ შეკრებაზე მოსკოვიდან უნდა წაჰყოლოდა, თუმც დიდთოვლობის გამო სამარიდან რუსეთის დედაქალაქში დროულად ვერ ჩავიდა. გუნდი ჩვენებურის ბარსელონაში ჩაფრენას ყოველი მომდევნო რეისისას ელოდა, მუჯირი კი არა და არ ჩანდა.

ოთხი დღის შემდეგ, 29 იანვარს მუჯირი „კრილიას“ მოსკოვის ოფისში მივიდა და კლუბის გენერალურ დირექტორ ალექსანდრ ფედოსეევს საკუთარი პასპორტი სთხოვა, თან განუცხადა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შრომითი ხელშეკრულება გააფორმა.

გუშინ კი, როგორც უკვე გითხარით, „ლოკომოტივის“ ოფიციალურ ვებგვერდზე კლუბსა და ფეხბურთელს შორის სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება დადასტურდა.

„კრილიას“ ხელმძღვანელობამ უმალ მოახდინა რეაგირება და ფედოსეევმა კონტრაქტის არალეგიტიმურობის თაობაზე განცხადება გააკეთა: „29 იანვარს მოსკოვში ლიცენზირების საკითხის მოსაგვარებლად ვიყავი და მოულოდნელად მუჯირმა დარეკა. სიმართლე გითხრათ, პირველად გამიხარდა, რამდენიმე დღის განმავლობაში მასზე არაფერი ვიცოდით, მისი ტელეფონები კი ეს დღეები გათიშული იყო. მეტიც, ჩვენ უკვე გაცხადებული გვქონდა საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებში, რომ ფეხბურთელის მოძებნაში დაგვხმარებოდნენ. მადლობა ღმერთს, დავითს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. საღამოს მუჯირს უკვე ოფისში შევხვდი, სადაც ფეხბურთელმა მითხრა, რომ „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი გააფორმა. ამ ინფორმაციამ გამაოცა, რადგან კლუბს ფეხბურთელისთვის წასვლაზე არანაირი თანხმობა არ მიუცია, მით უფრო, რომ გასულ სეზონში მუჯირი გუნდის ლიდერი და კაპიტანი იყო და მასზე წლეულსაც დიდ იმედებს ვამყარებდით. თუმც ფეხბურთელმა გვითხრა, რომ კონტრაქტზე კლუბის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტის, ალექსანდრ ბარანოვსკის ხელმოწერა იყო...

...მუჯირის გამოჩენამდე რამდენიმე საათით ადრე დარეკა „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსმა ვლადიმირ კოროტკოვმა და გვთხოვა, ფეხბურთელის პასპორტი და სხვა საბუთები გაგვეგზავნა. მაგრამ „კრილიაში“ მუჯირის „ლოკომოტივში“ გადასვლასთან დაკავშირებით არანაირი საბუთი არ არსებობს, ამიტომ ამ ტრანსფერს ლეგიტიმურად ვერ ჩავთვლით. ამის გამო უფლებას ვიტოვებთ, მივმართოთ ფიფას, რათა ეს ტრანსფერი შეაფასოს...

...უახლოეს დღეებში შევხვდებით ალექსანდრ ბარანოვსკის, სადაც ამ საკითხს განვიხილავთ. რაც შეეხება საქმის ეთიკურ მხარეს, ასეთი ამბები ზურგს უკან არ უნდა ხდებოდეს! ყველა შემთხვევაში დავითს წარმატებებს ვუსურვებ კარიერასა და ცხოვრებაში“.

როგორც ფედოსეევის სიტყვებიდან ჩანს „მუჯირის საქმეს“ გაგრძელება უნდა ჰქონდეს, თუმც ისიც შევიტყვეთ, რომ „ლოკომოტივმა“ სამარულ მხარესთან პრობლემები თითქმის მოაგვარა.

მანამდე კი მუჯირმა, როგორც იქნა, ესპანეთში ჩააღწია, თუმც უკვე თავის ახალ კლუბთან.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დღეს მაკლიში ცქიტიშვილს იტყვის

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი დღეს ინგლისურ „ბირმინგემთან“ კონტრაქტს გააფორმებს — წერენ ბრიტანული სააგენტოები და იქვე ბირმინგემელთა თავკაც ალექს მაკლიშის კომენტარსაც იშველიებენ: „ცქიტიშვილი ჩვენთან ვარჯიშობს და შეთანხმებამდე ცოტაღა გვიკლია“.

უკვე ნახევარი წელია, ცქიტიშვილი უგუნდოდაა. ბერძნული „პანიონიოსიდან“ წამოსვლის შემდეგ ის ჰოლანდიურ „ალკმაარში“ მივიდა, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება ვერ მოხერხდა, მერე გერმანულ „კაიზერსლაუტერნში“ თითქმის შემდგარი ტრანსფერიც ჩაეშალა და...

„ლევან ცქიტიშვილი 31 წლისაა, თავისუფალი აგენტია და ალბათ სწორედ ის შეავსებს ნახევარდაცვის ცენტრში გაჩენილ ვაკუუმს, რომელიც „ბირმინგემს“ დიდ პრობლემებს უქმნის“ — წერენ ინგლისელი ჟურნალისტები.

მაკლიშმა ცქიტიშვილი ვარჯიშებზეც ნახა და ზურაბ ხიზანიშვილს და შოთა არველაძესაც სთხოვა რჩევა. ცხადია, ორივესგან დადებითი დახასიათება მოისმინა და ალბათ დღეს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დაიბევებს ახალწვეულს.

ერთადერთი პრობლემა ცქიტიშვილის ოდნავ დაბალი სანაკრებო პროცენტია (64), თუმცა ინგლისელთათვის სასურველ 75 პროცენტამდე არც თუ დიდი სხვაობის გამო, ეს პრობლემა მოგვარებადია.



კახა შალამბერიძე

ინგლისი

პრემიერლიგა

XXIV ტური

ჩელსი 1:0 რედინგი

დერბი 1:1 სიტი

ვესტ ჰემი 1:0 ლივერპული

ევერტონი 0:0 ტოტენჰემი

მანჩესტერი 2:0 პორტსმუთი

II ლიგა

XXIX ტური

ჰერეფორდი 1:2 ბარნეტი

გერმანია

თასის

1/8 ფინალი

კარლ ცაისი 2:1 არმინია

ესენი 0:3 ჰამბურგი

ვერდერი (მ) 2:3 შტუტგარტი

ვოლფსბურგი 1:1დ.დ.(5:3პ) შალკე

ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი

საპასუხო მატჩები

ატლეტიკო 3:2 ვალენსია (0:1)

მალიორკა 2:1 ხეტაფე (0:1)

იტალია

სერია A

გადადებული მატჩი

რეჯინა 0:1 მილანი

თასის 1/4 ფინალი

საპასუხო მატჩები

კატანია 2:1 უდინეზე (2:3)

ფიორენტინა 1:2 ლაციო (1:2)

იუვენტუსი 2:3 ინტერი (2:2)

ბელგია

თასის 1/4 ფინალი

I მატჩები

ანდერლეხტი 3:0 დენდერი

ბეერსხოტი 5:1 რუზელარე

კორტრაიკი 5:1 გენტი

სერკლი 4:1 სტანდარდი

ამხანაგური მატჩები

ჰაიტი 0:0 სალვადორი

იაპონია 3:0 ბოსნია

კორეა 0:1 ჩილე

ირანი 0:0 კოსტა რიკა

ბაჰრეინი 1:0 დანია

ს. არაბეთი 2:1 ლუქსემბურგი

ს. აფრიკა (U21) 0:0 დანია (U21)

ჰოლანდია

ერედივიზიონი

გადადებული მატჩები

აიაქსი 0:2 ჰსვ

ფეიენოორდი 2:2 ალკმაარი

შოტლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

მოზერუელი — სელტიკი

გადაიდო

ლიგის თასი

1/2 ფინალი

რეინჯერსი 2:0 ჰარტსი

პორტუგალია

ლიგის თასი

1/2 ფინალი

სპორტინგი 3:1 პენაფიელი

სეტუბალი 3:0 ბეირა მარი

კოშმარის ოსტრავა
დინამო ჩეხებთან განადგურდა

თბილისის „დინამომ“ გუშინ საშინლად წააგო — 2:8.

თბილისელები, მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატისთვის ანთალიის მახლობლად ემზადებიან. გუშინ კი დუშან უჰრინმა შეგირდები ამ შეკრებაზე პირველად ათამაშა და ასეთი კატასტროფული შედეგიც მიიღო. ჩვენების მეტოქე ჩეხეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი ოსტრავას „ბანიკი“ იყო.

„დინამო“ 0:5 ავებდა, შემდეგ ჩეხებმა ერთი ბურთი საკუთარ კარში გაიტანეს, ხოლო მეორე მათ გიორგი მერებაშვილმა საჯარიმოდან გაუტანა.

მეორე ტაიმში რა მოხდა, ალბათ, აღარავის აინტერესებს — საბოლოო ანგარიში თავშიც წერია.

აქ კი „დინამოს“ შემადგენლობა ვთქვათ: *ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, თომაშვილი, დობეში (გველესიანი 75), სპასოევიჩი, ხმალაძე (ნერგაძე 80), შ. გრიგალაშვილი, გ. მერებაშვილი, მ. ხუციშვილი, აკირემი (ვაწაძე 40).*

„დინამოს“ ცენტრალურ მცველებს ნედ ზელიჩს, მილოშ კრშკოსა და ნახევარმცველ დავით ოდიკაძეს „ბანიკთან“ ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს თბილისელები პოლონურ „არკასთან“ გამართავენ.

კობა ინასარიძე

ოლიმპი თოვლს ურეკში გაექცა

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ დღეს ურეკში გაემგზავრა 10-დღიან შეკრებაზე.

რუსთავულ კლუბში უკრაინელი ლეგიონერების, ალექსანდრ ომელიანოვის, სერგეი პატულას და ანტონ კოვალევსკის ჩარიცხვა რომ გამოირიცხა, ეს უკვე გაუწყეთ.

გუშინ მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცს დაგეგმილი ჰქონდა, გუნდი ორად გაეყო და ერთმანეთში ეთამაშებინა, მაგრამ უამინდობამ ამის საშუალება არ მისცა.

უკრაინელმა სპეციალისტმა ურეკულ შეკრებაზე 22 ფეხბურთელი წაიყვანა და სრულ სიასაც აქვე გთავაზობთ...

მეკარეები: მირზა მერლანი, ბექა შეყრილაძე;

მცველები: მიხეილ მახვილაძე, სერგო ორბელაძე, თემურ ფარულავა, ნიკა მგელაძე, ლევან სილაგაძე, დავით ჭიჭვეიშვილი, ერნესტ აკუასაგა;

ნახევარმცველები: დავით დევდარიანი, ნიკა სტეფანიშვილი, ნიკა ლაბაძე, გიორგი კახელიშვილი, გელა ხუბუა, არჩილ სებისკვერაძე, თემურ აფრიამაშვილი, რევაზ გეწაძე;

თავდამსხმელები: ვახტანგ კვარაცხელია, ზვიად მეტრეველი, ნიკა ყრუაშვილი.

სიაში შეამჩნევდით ერთ სიახლეს — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ახალციხის „მესხეთის“ ნახევარმცველი თემურ აფრიამაშვილი მეორე წრეში „ოლიმპში“ ითამაშებს.

ურეკში რუსთაველებს ტესტ-მატჩებიც აქვთ დაგეგმილი — 3 თებერვალს ორი შემადგენლობით ზუგდიდის „მგლებს“ გაეჯიბრებიან, 6-ში „ბათუმი“ ეყოლებათ მეტოქედ და 9 თებერვალსაც ითამაშებენ, ოლონდ ჯერ არ არის ცნობილი, ვისთან.

10-ში კი გუნდი რუსთავში დაბრუნდება.

ნუკრი ლოლაძე

ვინ და, იონა!

ფოტო: ალექსანდრე ეფიმოვი

თურქულ შეკრებას აგრძელებს საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ზესტაფონი“. იმერლებმა მეორე საკონტროლო მატჩი გამართეს და წინასგან განსხვავებით (0:1 კორეულ „იონსეისთან“), ამჯერად იმარჯვეს — „ზესტაფონმა“ უკრაინული „კრივბასი“ 1:0 დაამარცხა.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. პირველი საგოლე მომენტი იმერლებს ჰქონდათ, თუმც ვერ გამოიყენეს.

22-ე წუთზე „ზესტაფონმა“ მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირა, უბერებელმა ზურაბ იონანიძემაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საგოლე ალღო არ ღალატობს და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ თამაში ორმხრივ იერიშებში გაილია. გოლის გატანა ორივე გუნდს მართებდა, მაგრამ თამაშის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

„ზესტაფონმა“ ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გ. ჭანტურია (რ. კვასხვაძე 46), ბახტურიძე (დაუშვილი 46), ს. თოდუა (უ. ლობჟანიძე 46), ხიდეშელი (შ. ღონღაძე 46), რ. ონიანი (გორგიაშვილი 65), საჯაია, გ. ჭელიძე (ბენაშვილი 46), კესანი (ნ. კვასხვაძე 46), ფიფია (გელაშვილი 46; საცერაძე 75), იონანიძე (ბ. გოცირიძე 46; გავაშელაშვილი 75), ვიეირა (ხუმარაშვილი 46).*

ხვალიდან „ზესტაფონი“ „ბელეკის თასის“ გათამაშებაში ჩაებმება — იმერლების პირველი მეტოქე ტაჯიკური „რეგარ-ტადაზი“ იქნება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სიონი გოლებით დაითოვლა
ბოლნისი ძველებს იბრუნებს, ზაქათალა ქართველებით ივსება

ორი მოგება, ერთი ფრე და ორი მარცხი — ასეთი შედეგით აქვს აზერბაიჯანულ „სიმურგს“ საქართველოში ჩატარებული ტესტ-მატჩებში.

გუშინ „სინათლის“ დათოვლილ მინდორზე ზაქათალელებმა ბოლნისის „სიონს“ 3:0 მოუგეს და აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი ბოლო 25 წუთში გაიტანეს — რამინ ნასიბოვმა, ტურალ ჯალილოვმა და ვიაჩესლავ ლიჩკინმა გამოიჩინეს თავი.

„სიონმა“ ასეთი ძირითადი თერთმეტეულით ითამაშა: *ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, ფრიდოლინი, ოქროპირიძე, გუგავა, ავალიანი, ბ. ნოზაძე, ლ. ბაჯელიძე, რაქვიაშვილი, შ. ჯიქია.*

თამაშს კი, პირველი რიგში უამინდობის გამო, არ შეეხედებოდა...

„სიონში“ მატებას ელიან — შესაძლოა, გუნდს დაუბრუნდნენ მცველი ლაშა ჭელიძე და ნახევარმცველი ლევან სანიკიძე. ჭელიძე პირველ წრეში „ბორჯომში“ იყო, სანიკიძე კი მოსამზადებელი ეტაპის დაწყებამდე გაეცალა გუნდს.

სავარაუდოდ, ბოლნისში დაბრუნდება კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემიც — იგი ისრაელის პირველლიგელ ბერშევას „ჰაპოელში“ იყო გასინჯვაზე, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, იქ ვერ მოეწყო.

და ერთიც: „სიმურგში“ კვლავ ითამაშა გასინჯვაზე მყოფმა მერანელმა თემურ ფურთუხიამ (მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე), მის გარდა კი აზერბაიჯანელებმა კიდევ ორი ქართველი „გამოაჩინეს“ — „ზესტაფონი 2“-ის წევრი დავით ლეკვეიშვილი და „ამერის“ ნახევარმცველი დავით ბოლქვაძე.

ილია ნანობაჯვილი

მიხეილ კობაური სტანდარტში წავიდა და მასალიში აღმოჩნდა

„ამერის“ ყოფილმა მცველმა მიხეილ კობაურმა აზერბაიჯანულ „სტანდარტს“ რომ ჩააკითხა, ამას წინათ გაცნობეთ. გუშინ კი კობაური თბილისში ვნახეთ და, ბუნებრივია, ამბები გამოვკითხეთ...



ფოტო: ალექსანდრ ეფიმოვის

— „სტანდარტში“ რამდენიმე დღე ვივარჯიშეთ, ერთი ტესტ-მატჩიც ვითამაშე და 5:1 მოვიგეთ. საბოლოოდ პირობებზე ვერ შევთანხმდით. კახა ცხადაძემ გუნდი თურქეთში წაიყვანა, მე კი იქაურ „მასალიში“ მივედი.

— და რა ხდება, გუნდში რჩები?

— ჩემს გარდა „მასალიში“ არიან ბორის გონჩაროვი და ვაჟა ლომაშვილი. ჩვენი ამ კლუბში ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია. თბილისში ერთი დღით ჩამოვედი, დღეს ისევ გუნდს უნდა შევუერთდე.

ნუკრი ლოლაძე

ახალი აზერ-ნაკადი



ბორის გონჩაროვი

ფოტო: ალექსანდრ ეფიმოვის

აზერბაიჯანში ქართველ ფეხბურთელთა გადინება გრძელდება — მეზობელთა ორ გუნდში კიდევ ხუთი ფეხბურთელი ისინჯება.

„მასალიში“ თბილისის „დინამოს“ 28 წლის თავდამსხმელი ბორის გონჩაროვი და გორის „დილას“ ნახევარმცველი ვაჟა ლომაშვილი არიან. როგორც აზერბაიჯანელები წერენ, მწვრთნელს მათი დატოვება სურს.

ავდამის „ყარაბახში“ კი ერთშაბად სამი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ისინჯება — გიორგი ხუციშვილი, ვალერი ბოლქვაძე და მიხეილ კოსტავა.

ხუციშვილი ბოლოს საქართველოში არ თამაშობდა, ბოლქვაძე თბილისის „დინამო 2“-ის ფეხბურთელია, ხოლო კოსტავამ პირველი წრე ბოლნისის „სიონში“ გაატარა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლოკომოტივი მინსკელ სეხნიასთან დამარცხდა



თურქეთში მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა — გიორგი კიკნაძის შეგირდები მინსკის „ლოკომოტივს“ გაეჯიბრნენ და 0:2 წააგეს.

ბელარუსებმა ორივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს.

ჩვენებურებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი კი ჰქონდათ, მაგრამ ქარს გაატანეს.

„ლოკომოტივმა“ ასეთი სასტარტო შემადგენლობით ითამაშა: *მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ქუხილავა, გულორდავა, ქუცურუა, ბარბაქაძე, ბუდაღაშვილი, ბახტაძე, ალავერდაშვილი.*

ტრავმების გამო კვლავ არ უთამაშიათ გუნდის ახალწვეულებს — ალეკო კაიდარაშვილს და ზვიად ჩხეტიანს.

დღეს „ლოკო“ ამხანაგურად რუმინელ „სპორტუს“ გაეჯიბრება, 2 თებერვალს კი საქართველოში დაბრუნდება.

ნუკრი ლოლაძე

მესხეთის ახლები: კოშკაძე-მერებაშვილი

ახალციხის „მესხეთი“ ორი ფეხბურთელით შეივსო: ექსბორჯომელი მცველი ლევან მერებაშვილი და რუსთავის „ოლიმპიდან“ წასული ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე ზაფხულამდე კობა თედიაშვილის გუნდში ითამაშებენ.

„ჯერჯერობით, ეს ორი ფეხბურთელი გადმოვიყვანეთ, ახლა კი ერთ საყრდენ ნახევარმცველსა და ერთ თავდამსხმელსაც დავიმატებთ“ — გვითხრა თედიაშვილმა.

„მესხეთი“ 1 თებერვალს ბორჯომში შეიკრიბება, 4 თებერვალს კი თბილისში ცხინვალის „სპარტაკს“ ამხანაგურად გაეჯიბრება.

ილია ნანოგაშვილი

ალდგება გიგიაძე-ბურდული?

ნეფტიანიკი ჩვენიანს ხელს უშლის

ვასილ გიგიაძე ახტირსკის „ნეფტიანიკთან“ ერთად ვარჯიშობს ალუშტაში, თუმც ამ გუნდში გაჩერებას არ აპირებს და, სავარაუდოდ, მალე უკრაინის უმაღლესი ლიგის სხვა კლუბში გადავა.

„ჩემი ამბავი 5 თებერვალს გადაწყდება. მსურველ კლუბთა შორის „ზარიაცაა“. ერთი სული მაქვს, „ნეფტიანიკიდან“ წავიდე. კონტრაქტი მაქვს და ამიტომ მეშლება ხელი, თორემ აქამდე წასული ვიქნებოდი“ — გვითხრა ვასომ.

„კრივბასის“ ყოფილ ლიდერს და მეგოლეს „ნეფტიანიკში“ მთლიანად ჩაუვარდა პირველი წრე, თუმც გიგიაძე სხვანაირად არც მოელოდა.

„საქმე ისაა, რომ „ნეფტიანიკში“ „კრივბასის“ მეორე მწვრთნელი დანიშნეს, მასთან კი უთანხმოება მქონდა. არა უშავს, მთავარია, მალე გადავიდე სხვა გუნდში“.

აქვე დავამატებთ, რომ „ზარიაც“ მოწადინებულია ქართველი ფორვარდის შეძენით და თუ ასე მოხდა, ლადო ბურდული და გიგიაძე ისევ თანაგუნდელები გახდებიან.

ილია ნანოგაშვილი

ირლანდიის მორიგი გაჩერება: ტრაპატონი?



6 თებერვალს ირლანდიის ნაკრები დუბლინში ბრაზილიას მასპინძლობს, თუმც ვისი თავკაცობით, ჯერაც უცნობია — კარგა ხანია, კელტები მწვრთნელს არჩევენ, ვიღასთან არ აწარმოეს მოლაპარაკება, მაგრამ ზოგისგან უარი მიიღეს, ზოგიც ბოლოს თვითონ იუარეს.

ახალი კანდიდატი კი ჯოვანი ტრაპატონია. მხცოვან იტალიელს ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციიდან დაუკავშირდნენ და წესით, კონტრაქტის გაფორმება დღეების ამბავი უნდა იყოს. თუმცა ჯერჯერობით ტრაპატონი ყველაფერს უარყოფს...

კელტები კი ჩქარობენ, ბრაზილიას უთავოდ ხომ არ დაუხვდებიან.

ტრაპატონი ახლა ავსტრიულ „ზალცბურგს“ წვრთნის, მის ვარსკვლავურ სამწვრთნელო კარიერაზე კი ლაპარაკი, მგონი, ზედმეტია. ისე, საინტერესო იქნება, თუ „ტრაპი“ ირლანდიელთა წინადადებას დათანხმდა, მშობლიური იტალიის ნაკრებთან მოუწევს ჭიდილი, რომელსაც ერთი ხანობა თავადაც წვრთნიდა და თბილისშიც ჰყავდა ჩამოყვანილი — მაშინ საქართველომ იტალიასთან 1:2 წააგო.

ილია ნანოგაშვილი

იმედაშვილი და პაოკი: გასინჯვა დღეს ღამემდე

დღეს ევროპის უმეტესი ქვეყნის ჩემპიონატებში სატრანსფერო ფანჯარა იხურება და ამდენად, საინტერესოა დავით იმედაშვილის ბედი, რომელიც ბერძნულ პაოკ-ში მივიდა.

სალონიკური კლუბის ვებგვერდზე წერია, რომ გუშინ იმედაშვილმა პირველად ივარჯიშა ფერნანდო სანტუშის გუნდში.

23 წლის ქართველი, რომელსაც დაცვაშიც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც, კიევის „დინამოს“ ეკუთვნის. ორიოდ კვირის წინ იგი „დინამოს“ სარეზერვო გუნდში იყო და ტესტ-მატჩებშიც ითამაშა. მერე ითქვა, იმედაშვილს უჟგოროდის „ზაკარპატიეში“ გაანათხოვრებენო, თუმც საბერძნეთში ამოჰყო თავი.

ისე, პაოკ-ში ტრანსფერი თუ არ შედგა, იმედაშვილს უგუნდოდ დარჩენა მაინც არ ემუქრება — უკრაინასა და რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა ხომ ღია რჩება.

საინტერესო კია, ერთ დღეში რა გასინჯვა უნდა მოასწროს პაოკ-მა...

ილია ნანოგაშვილი

კობახიძე ჩაიშალა!

დნიპრო დინამოს სიტყვამ დააფრთხო

ბაზრი ჯეიმსი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველ სანდრო კობახიძის დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი ბოლო წამს ჩაიშალა.

20 წლის ფეხბურთელი „დნიპროს“ თურქულ შეკრებაზე ახლდა და მწვრთნელ ოლეგ პროტასოვს თავიც მოაწონა. პროტასოვი პრესასთან გუნდში მის დატოვებაზეც ალაპარაკდა, თუმც...

როგორც „დნიპროს“ ოფიციალური ვებგვერდი წერს, უკრაინელები და თბილისის „დინამო“ ფეხბურთელის ფასზე ვერ მორიგდნენ და ტრანსფერიც ამიტომ ჩაიშალა.

გუშინ „დნიპრო“ კვიპროსზე გაემგზავრა შეკრებაზე და თან ჯაბა კანკავა იახლა. კობახიძე კი საქართველოში დაბრუნდება და, სავარაუდოდ, ისევ თურქეთში წავა, სადაც მისი „დინამოს“ შეკრებას გადის.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლევან მჭედლიძე საკარნევალო სიაშია

არ ვიცით, რამდენად მოახერხებს ლევან მჭედლიძე ,იმ ტურნირში თამაშს, რომელიც 28 იანვრიდან დაიწყო და 11 თებერვალს დამთავრდება.

ფაქტი კია, „ემპოლის“ ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა ეტორე დონატიმ ტურნირის 22-კაციან განაცხადში მჭედლიძეც შეიყვანა — ლაპარაკია „კოპა კარნევალეზე“, რომელშიც ემპოლელებმა უკვე მოასწრეს ერთი თამაშის ჩატარება და არგენტინულ „რივერ პლეიტს“ 1:0 სძლიეს, თუმც, ცხადია, ლევანი მინდორზე არ გამოჩენილა.

17 წლის ქართველ თავდამსხმელს მცირე ტრავმა აქვს და ეგეც არ იყოს, 6 თებერვალს საქართველო — ლატვიის ამხანაგური მატჩისთვისაა გამოძახებული.

ილია ნანოგაშვილი

გოგუა-ამისულაშვილმა ყაზახები დაჩაგრეს

ნალჩიკში ერთ ქართველსაც ელიან

გოგიტა გოგუა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ნალჩიკის „სპარტაკმა“ ორი შემადგენლობით გამართა მატჩები ყაზახურ გუნდებთან და ორივეს მოუგო — ჯერ „ალმათი“ 3:0 გაანადგურა, მერე კი „ჟეტისუსთან“ 1:0 იმარჯვა.

გოგიტა გოგუამ „ალმათისთან“ 60 წუთი ითამაშა, ალეკო ამისულაშვილმა კი „ჟეტისუსთან“ პირველ ტაიმში იბურთავა.

როგორც შევიტყვეთ, ნალჩიკელები გოგუასთან კონტრაქტის გაფორმებას შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ აპირებენ.

და კიდევ, ნალჩიკის „სპარტაკის“ მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა თქვა, თურქეთში სამ ფეხბურთელს ველოდები და მათ შორის ერთი ქართველიაო, თუმც ჯერჯერობთ ეს „ინკოგნიტო“ ქართველი გუნდში არ გამოჩენილა.

ილია ნანოგაშვილი

ფოტოს მიხედვით ვერ იტყვი, არადა, გოლი სამუელ ეტოოსად კი არა, ავტოგოლად ჩაითვალა

აფრიკა ეტოოს 38 წელი ელოდა

C ჯგუფი. III ტური

კამერუნი 3:0 სუდანი

1:0 ეტოო (27პ), 2:0 ელ ხიდერი (34ს.კ), 3:0 ეტოო (90)

კამერუნი: კამენი, ბიკეი, რ. სონგი, ატუბა (ჩატო 46), ნჯიტაპი, მბამი, ემანა (ტომუ 58), ეობი, ა. სონგი, ეპალე (ესოლა 74), ეტოო

მწვრთნელი: ოტო ჰფისტერი

სუდანი: აბდალა, ბახეიტი, ელ ტაიე-ბი, ელ ხიდერი, იუსაფ ალაელდინი (ბაბიკერი 62), კუკუ, ლადო, კარარი, ელ ბაშირი, ტამბალი (კორონგო 74), აგაფ სიდო

მწვრთნელი: მოჰამედ აბდალაჰი

გაფრთხილება: ალაელდინი

ეგვიპტე 1:1 ზამბია

1:0 ზაკი (15), 1:1 ფ. კატონგო (87)

ეგვიპტე: ელ ჰადარი, მოჰამადი, საიდი, ფატი, მოავადი, აბდ რაბუ, გომაა, შაკი, მოსტაფა, ზაკი, მოტაები

მწვრთნელი: ჰასან შეჰატა

ზამბია: მვეენე, მუსონდა, ჰიმონდე, მვანზა, ჰაშილენსა, შანსა, ბაკალა, ჯ. კატონგო, მულენგა, ფ. კატონგო, შამანგა

მწვრთნელი: პატრიკ ფირი

გაფრთხილება: აბდ რადუ, ფ. კატონგო

სხვადასხვა ვარიანტების გათვლებით, ბოლო ტურში იმის შანსიც იყო, ორი თამაშის მომგები ეგვიპტე ჯგუფში ჩარჩენილიყო და იმისი შანსიც, სუდანი რაღაც მანქანებით მეოთხედფინალში გამძვრალიყო. უფრო რეალური კი, ცხადია, ახლანდელი ჩემპიონი ეგვიპტისა და კამერუნის გასვლა იყო.

ხოლო კამერუნისა და სუდანის მატჩში სრულიად აფრიკის რეკორდის დამყარებასაც ელოდნენ — სამუელ ეტოოს ერთი გოლი აცილებდა აფრიკის ეროვნებათა თასის ყველა დროის ბომბარდირობას: კოტდივუარელ ლორენ პოკოს 14 გოლი ჰქონდა გატანილი, მათგან ბოლო, შორეულ 1970 წელს.

მოკლედ, C ჯგუფში თამაშები დაიწყო... თუმცა აქ ერთი წუთით შეეჩერდეთ და ვთქვათ, როგორც დაიწყო. საქმე ის არის, რომ ეგვიპტე — ზამბიის მატჩი მცირე დაყოვნებით დაიწყო, რაკი მოედანი მაშხალების ბუღით იყო სავსე. და რაკი წესია, რომ ბოლო ტურის მატჩები ზუსტად ერთსა და იმავე დროს უნდა დაიწყოს, კამერუნი — სუდანის მატჩის არბიტრი, კონგოელი კოკუ ჯაუპე მოთმინებით ელოდა ინფორმაციას მეორე მატჩის დაწყების თაობაზე.

პირველი გოლი კი ეგვიპტელმა ამრ ზაკიმ გაიტანა: საიედ მოავადი ფლანგური პასით იხეირა და კამერუნსაც საქმე გაუიოლა. თუმცა დიდი სირცხვილი იქნებოდა, კამერუნი ოდენ ეგვიპტელთა ჩაუქობის და ზამბიის მარცხის იმედად ყოფილიყვნენ. სუდანი აბა, რა ისეთი ძალის გუნდია.

ასეც მოხდა, კამერუნებელმა დაწყებიდან 27 წუთში პენალტი მოინადირეს და ვინძლო ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ნიშნულთან ის ფეხბურთელი მივიდოდა, რომლის რეკორდსმენობის შესაძლებლობაზე მიმოხილვის დასაწყისშივე გიამბეთ. იუსეფ ალაელდინმა ახილე ემანა დასცა და სამუელ ეტოომ ეროვნებათა თასზე თავისი მე-15 გოლი გაიტანა.

ეტოოს გოლიდან 7 წუთში კიდევ ერთი გოლი გავიდა: სუდანელებმა, რომლებმაც წინა ორ მატჩში კინკილა გოლიც კი ვერ შეაგდეს, საკუთარ კარში გაიტანეს — მოჰამედ ელ ხიდერმა ჟოელ ეპალეს ჩაწოდებული და იმავ სამუელ ეტოოს დარტყმული, გამოტანის ნაცვლად თავის კარში შეაგდო.

ერთი სიტყვით, ჯგუფში საბოლოო ანგარიშებიღა იყო გასარკვევი, თორემ გამსვლელ-ჩატოვებულთა ვინაობა, პირველივე ტაიმში გაირკვა.

სამუელ ეტოომ კი თავისი მეორე გოლი მაინც გაიტანა და ეს ამბავი სულ ბოლო წუთზე მოხდა. ხოლო სუდანმა შეეჯიბრი ეგრეც უგოლოდ ჩაამთავრა.

ეგვიპტემ კი მეორე ტაიმში გაუშვა — ფელიქს კატონგომ ბოლოსკენ გაქვია, მაგრამ ამით ზამბიას რა?!

კოტე კეკელია

საბოლოო ცხრილი

ეგვიპტე	3	2	1	0	8:3	7
კამერუნი	3	2	0	1	10:5	6
ზამბია	3	1	1	1	5:6	4
სუდანი	3	0	0	3	0:9	0

ზამბიელი ჯეკობ მულენგა (№2) და ეგვიპტელთა მეკარე ესამ ელ ჰადარი

მიძუნო

„სელტიკმა“ „სიტიდან“ გეორგიოს სამარასი სეზონის ბოლომდე ითხოვა, ხოლო „იჩიჰარადან“ კოკი მიძუნო იყიდა. ბერძენი სამარასი „სიტიმ“ 2006-ში „ჰერენვენისგან“ 8 მილიონ გირვანქად შეიძინა. ფეხბურთელმა თავიდან კარგად დაიწყო, მაგრამ ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორჯერ ითამაშა. რაც შეეხება იაპონელ ნახევარმცველს, იაპონიის ჩემპიონატში 86 მატჩში 13 გოლი გაიტანა, ნაკრებში კი ოთხჯერ უთამაშია. მიძუნომ „სელტიკთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ია და კოშტა

პსვ-ს და პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების მცველი მანუელ და კოშტა „ფიორენტინაში“ გადავიდა. „იებმა“ 21 წლის ფეხბურთელში 4,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. და კოშტა პსვ-მდე „ნანსიში“ იყო, საიდანაც 2006 წელს წაიყვანეს. „ფიორენტინასთან“ პორტუგალიელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბოხუმელი ბელიკი

დონეცკის „შახტარმა“ უკრაინის ნაკრების ფორვარდი ალექსეი ბელიკი ოთხი თვით „ბოხუმს“ დაუთმო. ფეხბურთელმა „შახტარში“ 143 მატჩში 51 გოლი გაიტანა. იგი დონეცკურ კლუბში 2000 წლიდანაა. ერთხელ ჩემპიონი გახდა და სამჯერ უკრაინის თასი მოიგო. ნაკრებში 18 მატჩი და ხუთი გოლი მოუგროვდა.

მოჰამედი ათენშია

„ინტერის“ და „მონაკოს“ ყოფილი თავდამსხმელი მოჰამედ კალონი ექვსი თვით ათენის აეკ-ში გადავიდა. „მიხარია, რომ საკმაოდ ძლიერ გუნდში ვითამაშებ“ — თქვა სიერა ლეონეს ნაკრების ფორვარდმა. მისი კარიერა „ლუგანოში“ დაიწყო, მერე კი „ბოლონიაში“, „ჯენოაში“, „კალიარიში“, „რეჯინასა“ და „ვიჩენცაში“ გაგრძელდა. 2001-2004 წლებში მილანის „ინტერში“ იყო, შემდეგ „მონაკოში“ გადაბარგდა და ერთ სეზონში 11 გოლი გაიტანა. „მონაკოდან“ „ალ იტიჰადს“ მიაშურა და შარშან ფრანგულ კლუბს დაუბრუნდა.

სანდრო გრიმი

„მილანის“ არგენტინელი მცველი ლეანდრო გრიმი სეზონის ბოლომდე ლისაბონის „სპორტინგში“ ითამაშებს. 22 წლის ფეხბურთელი აქამდე „სიენაში“ იყო განათხოვრებული. „რთული ამოცანის წინაშე ვარ, რადგან პორტუგალიის ერთ-ერთ უდიდესი კლუბი მენდო. „სიენადან“ აქ გადმოსვლით წინ ნაბიჯი გადავდგი. ვიმედოვნებ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს მალე დავიმკვიდრებ“ — თქვა არგენტინელმა, რომელიც „მილანში“ შარშან „რასინგიდან“ გადავიდა, მანამდე კი „ურაკანში“ იყო.

ბარნლის ბებერი დაეხმარება

„სანდერლენდის“ ფორვარდი ენდი კოული „ბარნლიში“ გადავიდა და ჩემპიონლიგის კლუბს სეზონის ბოლომდე დაეხმარება. 36 წლის ფეხბურთელი „სანდერლენდში“ შარშან ზაფხულს „პორტსმუთიდან“ გადაბარგდა, მაგრამ რიი კინის გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ „ჩაჯდა“. ვეტერანმა მეგოლემ მხოლოდ რვა მატჩში ითამაშა.

მალდონადო მუხლის ნაცვლად

„ფენერბაჰჩემ“ ტრავმირებული სტეფან აპიას შემცვლელი იპოვა. სტამბოლურმა კლუბმა ბრაზილიური „სანტოსის“ ჩილელი ნახევარმცველი კლაუდიო მალდონადო იყიდა. ფეხბურთელმა „ფენერთან“ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩილელს „სანტოსამდე“ „კრუზეიროში“, „სან პაულუსა“ და „კოლო კოლოში“ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ აპიას მუხლის მძიმე ტრავმა აქვს და ექვსი თვე ბურთს ვერ გაეკარება.

ამერიკულ-ბულგარული ჰერტა

ბერლინის „ჰერტამ“ სოფიის „ლევსკისგან“ ბულგარელი ფორვარდი ვალერი დომოვჩიისკი ოთხი თვით ითხოვა, ხოლო აშშ-ს ნაკრების ფეხბურთელი ბრაიან არგუსი მეიჯორლიგის „დი სი იუნაიტედიდან“ იყიდა. სეზონის ბოლოს „ჰერტას“ დომოვჩიისკის კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება ექნება, არგუსმა კი სამწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა.

მაკალისტერი — ლიდსის ახალი თავი

„ლიდსის“ მწვრთნელად ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელი გარი მაკალისტერი დანიშნეს. 43 წლის შოტლანდიელმა დენის უაიზი შეცვალა, რომელიც „ნიუკასლის“ საფეხბურთო დირექტორი გახდა. 90-იანებში მაკალისტერმა „ლიდსში“ ექვსი სეზონი გაატარა, სამასამდე მატჩი ითამაშა და 1992 წელს ჩემპიონი გახდა. მერე იყო „ქოვენთრისა“ და „ლივერპულში“, შემდეგ კი წელიწადნახევრის განმავლობაში „ქოვენთრის“ თავკაცობდა.

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისი

პრემიერლიგა
XXIX ტური

არსენალი 3:0 ნიუკასლი

1:0 ადებაიორი (40), 2:0 ფლამინი (72), 3:0 ფაბრეგასი (80)

არსენალი: ალმუნია, სანია, გალასი, სენდეროსი, კლიჩი, დიაბი (ჟილბერტო სილვა 77), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი (უოლკოტი 82), ედუარდო (ბენდტნერი 71)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ნიუკასლი: გივენი, კარი, ტეილორი, კასაპა, ნზოგბია, მილნერი (ამეობი 73), ბათი, როზენალი (ბარტონი 57), დაფი, ოუენი, სმიტი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: გლები, ნზოგბია, ოუენი, კასაპა

მსაჯი: რაილი

60 127 მაყურებელი

სანდერლენდი 2:0 ბირმინგემი

1:0 მერფი (15), 2:0 პრიკა (65)

სანდერლენდი: გორდონი, ბერდსლი, ნოსვორთი, ეკანსი, კოლინზი, უიტფორდი, მილერი, იორკი (პრიკა 46), მერფი, სტოკსი (ოდონოვანი 63), ჯონსი

მწვრთნელი: როი კინი

ბირმინგემი: ტეილორი, კელი, რიდგუელი, შმიტცი, კედრუ, ლარსონი (ფორსელი 66), ჯონსონი, მუამბა, კაპო, ჯერომი (ზარატე 66), მაკფადენი

მწვრთნელი: ალექს მაკლეიში

გაფრთხილება: პრიკა, კაპო, შმიტცი, რიდგუელი

მსაჯი: ჰალსი

37 674 მაყურებელი

მიდლსბრო 1:0 უიგანი

1:0 ალიადირი (19)

მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, ჰუთი, უიტერი, გრაუნდსი, ონილი, არკა, როჩემბაკი, დაუნინგი (კეტერმოლი 88), ალიადირი (ჯონსონი 72), თუნჯაი (მიდო 34)

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბრაბლი, შარნერი, კილბეინი, ვალენსია, ბრაუნი, ბალასიოსი, კინგი (კუმასი 53), ჰესკი, მ. ბენტი (სიბიერსკი 76)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ჰესკი

მსაჯი: სტაილზი

22 963 მაყურებელი

ბოლტონი 0:0 ფულემი

ბოლტონი: იასკელაინენი, სტეინსონი, ეობრაიენი, მიხალიკი, გარდნერი, ჯ. ობრაიენი (კოჰენი 46), გუტრიე (თეიმურიანი 68), მაკკანი, ნოლანი, ტეილორი (ჰელგუსონი 83), კ. დევისი

მწვრთნელი: გარი მეგსონი

ფულემი: ნიემი, ბაირდი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, ვოლეი (კრისტენვალი 74), ანდრეასენი (ბოკანეგრა 83), მერფი, ბალარდი (ბუაზა 87), ს. დევისი, დემბელე

მწვრთნელი: როი ჰოჯსონი

მსაჯი: კლატენბურგი

17 732 მაყურებელი

არსენალი	24	17	6	1	49:17	57
მანჩესტერი	23	17	3	3	46:11	54
ჩელსი	23	15	5	3	36:16	50
ევერტონი	23	13	3	7	40:23	42
ასტონ ვილა	24	11	8	5	43:31	41
ლივერპული	22	10	10	2	37:16	40
სიტი	23	11	7	5	30:24	40
ბლეკბერნი	24	10	8	6	32:31	38
პორტსმუთი	23	10	7	6	34:23	37
ვესტ ჰემი	22	9	6	7	28:21	33
ტოტენჰემი	23	7	6	10	44:40	27
ნიუკასლი	24	7	6	11	27:42	27
მიდლსბრო	24	6	7	11	21:37	25
სანდერლენდი	24	6	5	13	24:42	23
ბოლტონი	24	5	7	12	24:34	22
რედინგი	23	6	4	13	30:49	22
ბირმინგემი	24	5	5	14	23:36	20
უიგანი	24	5	5	14	23:40	20
ფულემი	24	2	10	12	23:42	16
დერბი	23	1	4	18	11:50	7

ჩემპიონატი. XXIX ტური

ბარნსლი — კოლჩესტერი 1:0; კარდიფი — ქუინზ პარკი 3:1; ჩარლტონი — სტოკი 1:0; ჰალი — ქოვენთრი 1:0; იფსვიჩი — პლიმუთი 0:0; პრესტონი — ვესტ ბრომვიჩი 2:1; შეფილდი — უოტფორდი 1:1; საუთჰემპტონი — ნორვიჩი 0:1; ვულვზი — უენსდი 2:1

ვესტ ბრომვიჩი	29	15	6	8	63:37	51
ბრისტოლი	29	14	9	6	36:34	51
უოტფორდი	29	14	7	8	46:37	49
სტოკი	29	12	11	6	46:36	47
ჩარლტონი	29	13	8	8	42:33	47
კრ. პალასი	29	11	11	7	36:28	44
კარდიფი	29	11	10	8	40:36	43
ბარნლი	29	11	10	8	38:36	43
ვულვზი	29	11	10	8	28:27	43
იფსვიჩი	29	11	9	9	45:37	42
ჰალი	28	11	8	9	34:32	41
პლიმუთი	29	10	10	9	36:31	40
ბარნსლი	29	9	10	10	35:41	37
საუთჰემპტონი	29	10	7	12	37:46	37
შეფილდი	29	9	9	11	32:34	36
ნორვიჩი	29	9	8	12	28:35	35
ლესტერი	29	7	13	9	28:27	34
ბლეკპული	29	8	10	11	36:37	34
ქუინზ პარკი	29	8	9	12	34:43	33
ქოვენთრი	28	9	5	14	30:45	32
უენსდი	28	9	4	15	31:36	31
პრესტონი	29	8	6	15	29:37	30
სკანთორპი	29	6	9	14	28:45	27
კოლჩესტერი	28	5	11	12	39:47	26

თოფ-კითხვა ბარტონს: შენ აქ რა გინდა?

ვენგერმა მეთიუ ფლამინი შეაქო

„ნიუკასლში“ კევინ კიგანის დაბრუნებამ ქომაგები დააიმედა — გუნდი 90-იანი წლების მსგავსად ფანტაზიით გაჟღენთილ ფეხბურთს ითამაშებსო. კიგანის ხელში „კაჭკაჭებმა“ სამი მატჩი გამართეს და... წამლად ერთი გოლიც ვერ გაიტანეს. „ზოგჯერ ახალი მწვრთნელის მისვლას სწრაფი ეფექტი აქვს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს არ მოხდა“ — თქვა „ნიუკასლის“ თავკაცმა „არსენალთან“ მარცხის შემდეგ.

„არსენალმა“ „ნიუკასლს“ ოთხი დღის წინ ასოციაციის თასზე შინ 3:0 მოუგო და სამშაბათს ჩემპიონატის მატჩში ანგარიში გაუმეორა. ემანუელ ადებაიორმა პირველი ტაიმის მიწურულს, გლების პასით, თავით გაიტანა. შესვენების შემდეგ ფლამინიმ 30 მეტრიდან ცაციით მოსხლიტა ბურთი და ცხრიანში შეჭედა, ბოლოს კი საჯარიმოში შესულმა ფაბრეგასმა ახლოდან მესამე შეაგდო. „ამ სეზონში ფლამინი გუნდში ყველაზე გამორჩეული მოთამაშეა, რადგან მატჩიდან მატჩამდე უმატებს. იგი უდიდეს სამუშაოს ასრულებს. ზაფხულში წასვლა უნდოდა, მაგრამ დარჩენაზე დავითანხმეთ და მიხარია, რომ არ შეცდით“ — თქვა არსენ ვენგერმა.

„ნიუკასლის“ შემადგენლობაში, მეორე ტაიმში თავქარიანობით ცნობილი ჯო ბარტონი გამოჩნდა. შობის დღესასწაულის შემდეგ მან ბარში ჩხუბის გამო ერთი კვირა საკანში გაატარა და გათავისუფლების მერე პირველად ითამაშა. „მეთოფეთა“ ფანები ბარტონს ტრიბუნიდან ეძახოდნენ: „შენი ადგილი ციხეშია“.

„სანდერლენდმა“ პრინციპულ მატჩში „ბირმინგემი“ დაამარცხა და ქვედა სამეულიდან ამოძვრა. როი კინს იანვარში ნაყიდმა ფეხბურთელებმა გაუმართლეს. „მანჩესტერიდან“ შეძენილმა ფილ ბერდსლიმ დერილ მერფის საგოლე პასი უბოძა, ხოლო „ოლბორგიდან“ გადაყვანილმა შვედმა რადე პრიკამ მეორე ტაიმში გაიტანა. „ჩვენ არ ვბრწყინავდით, მაგრამ სამი ქულა მივითვალეთ — თქვა როი კინმა — ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უშუალო კონკურენტს ვძლიეთ. ახალწვეულები ადგილად ჩაეწერნენ გუნდში და ორივემ საქმე ფრიადზე შეასრულა“.

სტუმრად ზედიზედ სამ მატჩში დაუმარცხებელი „უიგანი“ მიდლსბროში გატყდა. ამ შეხვედრას ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ფაბიო კაპელო ესწრებოდა. სტიუარტ დაუნინგმა საგოლე პასი მიაწოდა ჟერემი ალიადირს, რომელმაც ახლოდან გაიტანა და ეს იყო მისი პირველი გოლი ოქტომბრის შემდეგ.

ვაჟა ხუციშვილი


კევინ კიგანი

სასწრაფოდ უნდა მოვიგოთ

კევინ კიგანის ნიუკასლურ რევოლუციას „არსენალმა“ მორიგი კვანტი გამოსდო — 3:0, მაგრამ ლეგენდარული „მიკი მაუსი“ იხტიბარს არ იტეხს. მეორე მხრივ კი როგორია? — კიგანის ხელმძღვანელობით „კაჭკაჭებმა“ აგერ უკვე სამი თამაში ჩაატარეს და წამლად ერთი გოლიც ვერ გაიტანეს. თან, დახეთ ბედის ირონიას: ოთხ დღეში ზედიზედ მეორედ ერთმა და იმავე გუნდმა, „არსენალმა“ მოუგო. და კიდევ: ამ შეხვედრას „ნიუკასლ იუნაიტედის“ ახალი საფეხბურთო დირექტორი დენის უაიზიც ესწრებოდა.

კიგანი: „გულწრფელად გეუბნებით, ჩემთვის ცნობილი მხოლოდ ის იყო, რომ „ნიუკასლის“ დირექტორატი ახალი დირექტორის მოყვანას აპირებდა, მაგრამ, ვისზე იყო ლაპარაკი, ზუსტად არ ვიცოდი. დაზუსტებით მარტო ის ვიცოდი, რომ ახალი დირექტორის მიხედვით მწვრთნელი არ შეიცვლებრდა. ერთი სიტყვით, ნიუკასლში სჭირდებოდათ ადამიანი, რომელიც ფეხბურთში კარგად ერკვევა, ხოლო დენის უაიზმა, ვინც რა უნდა თქვას მის შესახებ, ფეხბურთი კარგად იცის.

ახლა, უკვე, გეგმა დაწყობილია: ის თავის აღმოჩენებს მე მომახსენებს ხოლმე და ვგონებ, ეს პარტნიორობა წარმატებული უნდა გამოვიდეს, თუმცა საბოლოოდ რა გამოვა და როგორ, ამას მხოლოდ დრო გვაჩვენებს. ჩემი მხრივ იმას გეტყვით, რომ „ნიუკასლში“ მიმდინარე ცვლილებები მომწონს და მთელი გულით ვეთანხმები“.

ამის შემდეგ კი კიგანმა თქვა, რომ მისი „კაჭკაჭთა“ მეთაურად დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელები ტემპერატურის მატებას გრძნობენ.

„აშკარაა, რომ ფეხბურთელებს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა აკლიათ. ამის გამოსასწორებლად რაც შეიძლება მალე ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება გვჭირდება. საამისოდ, მონდომებას, ცხადია, არ ვაკლებთ, მაგრამ კლასი და ფანტაზია აშკარად მეტი მოგვეთხოვება. მეტოქის კართან მომენტებს ვერ ვქმნით, ხოლო ეს ყველაფერი ჩემი გამოსასწორებელია. საქმე ის არის, რომ ჩვენს გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ასეთი დამარცხებები არ ეკადრებათ.

ერთი სიტყვით, ცვლილებებისთვის წინაპირობა უკვე შექმნილია. ჩვენს გარშემო ეჭვი არავის ეპარება, რომ დღეს თუ არა ხვალ, შედეგებიც მოვა“.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვით ტრანსფერების შესახებ. კიგანმა ამასწინათ 2 მილიონი გირვანქა „დერბის“ ნახევარმცველის ჯილ ბერნესის სანაცვლოდ შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ახლა „მიკი მაუსი“ აცხადებს, რომ ამ სატრანსფერო ფანჯარაში, ანუ, გასაგებად რომ ვთქვათ, ზაფხულამდე, აღარავის ყიდვას არ შეეცდება.

„ზოგადად, ერთი-ორი ახალი მოთამაშის მოყვანა ვითარებას გაადვილისებდა, მაგრამ საქმეები ისე წაგვივიდა, რომ, როგორც ჩანს, ზაფხულამდე დაცდა მოგვიწევს“.

პაპუნა კედია

გერმანია

თასის მერვედფინალი

ალემანია 2:3 მიუნხენი

1:0 კოლეი (10), 2:0 ებერსი (40), 2:1 შვარცი (83), 2:2 კურუკოვიჩი (84), 2:3 ჯონსონი (88)

ჰოფენჰაიმი 2:1 ჰანზა

1:0 ნილსონი (10), 1:1 კერნი (52), 2:1 ორესტექსი (71 სკ.)

ვუპერტალი 2:5 ბაიერნი

0:1 კლოზე (15), 1:1 დამი (26), 1:2 კლოზე (27), 2:2 საგლიკი (29), 2:3 ვან ბუიტენი (50), 2:4 ტონი (53), 2:5 ჰამიტ ალტინტოპი (88)

დორტმუნდი 2:1 ვერდერი

1:0 ფედერიკო (19), 2:0 კლიმოვიჩი (80), 2:1 დიეგო (82პ)

რეგიონალლიგის „ვუპერტალი“ „ბაიერნს“ ერთი ტაიმის განმავლობაში თითქმის ტოლსწორად ეთამაშა, მაგრამ კლასმა მაინც გაჭრა. მატჩი „აუფშალკეზე“ გაიმართა და „ვუპერტალის“ ორივე გოლზე „ბაიერნის“ მოძულე „შალკეს“ ფანებმა გვარიანად გაიხარეს.

მიროსლავ კლოზემ რიბერის პასით და თავურით გახსნა ანგარიში, მაგრამ დამმა გაქვითა. კლოზემ მეორე ფეხით გაიტანა, თუმც ორ წუთში საგლიკმა ისევ გაათანაბრა და მეორედ გაამხიარულა „შალკეს“ ქომაგები. შესვენების შემდეგ „ბაიერნმა“ კატა-თაგვობანას თამაშს თავი დაანება და სამწუთიან მონაკვეთში წყვილი გოლი შეაგდო. რიბერის ჩაწოდებულ კუთხურს ვან ბუიტენის თავური და გოლი მოჰყვა, მერე კი ტონიმ იხეირა. ბოლოს ჰამიტ ალტინტოპმა დააგვირგვინა „ბაიერნის“ გამარჯვება და მიუნხენელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

„დორტმუნდმა“ გზიდან ბრემენის „ვერდერი“ ჩამოიშორა. მასპინძლები ჯოვანი ფედერიკომ დააწინაურა, რომელმაც ახლოდან შეაგდო, მეორე ტაიმში კი კლიმოვიჩი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ორ წუთში „ვერდერის“ სასაგებლოდ მსაჯმა პენალტი დანიშნა და დიეგომ ციგლერს მარჯვენა კუთხეში გაუტანა. ცოტა ხანში კი „მუსიკოსებს“ გათანაბრებს შანსი გაუჩნდათ, რადგან „დორტმუნდის“ კარში მეორე პენალტი დანიშნეს. დარტყმა ისევ დიეგომ იკისრა, კუთხე შეცვალა და მეკარემ აუღო.

მეორებუნდესლიგელთა — „ალემანიისა“ და „მიუნხენის“ — ბრძოლა დრამატული გამოვიდა. დამხვდურებმა პირველი ტაიმი მოიგეს და მეოთხედფინალის საგზური უკვე განაღდებული ეგონათ, მაგრამ მიუნხენელმა „ლომებმა“ სასწაული ჩაიდინეს — ექვს წუთში სამი გოლი შეაგდეს და „ალემანია“ ყელგამოღადრული დატოვეს.

ვაჟა ხუციშვილი

„ვუპერტალის“ კაპიტანი მიკე რიტპიჩი „ბაიერნის“ ზე რობერტოს ბურთს არ უთმობს

კატა-თაგვობანა გელზენკირხენში

კლოზე იყოს კარგად და...

ლუკა ტონიმ „ბაიერნში“ ნახევარი სეზონი მოილია, მაგრამ პირველი „ტიტული“ უკვე მოიგო. სპორტული სამოსის იტალიელ მწარმოებელთა ასოციაციამ მას „კარგი, მოდური და იტალიური სტილის ელჩის“ წოდება მიანიჭა. „ვუპერტალთან“ სათასო მატჩის წინ „ბილდმა“ ტონის ინტერვიუსთვის მიაკითხა

— „მიუნხენ 1860“-თან ამხანაგურ მატჩში იჯახირეთ და ფრეს (1:1) ძლივს მიაღწიეთ. ეს ნიშნავს, რომ „ბაიერნის“ ვარსკვლავები მოიკოჭლებენ?

— როგორ გეკადრებათ! ეს ხომ ამხანაგური თამაში იყო, დღეიდან ჩვენ ყოველ მატჩში საუკეთესო ფეხბურთს ვაჩვენებთ.

— გუნდს გამთამაშებელი ხომ არ აკლია, რომელიც ფორვარდებს პასებით მოამარაგებს?

— ეს ტაქტიკაზეა დამოკიდებული. ჩვენ 4-4-2-ით ვთამაშობთ, და კლასიკური „ათიანი“ არ გვყავს. ამჟამად ასეთი ტაქტიკა გამართლებულია და მის შეცვლას არ ვაპირებთ. ფრანკ რიბერი თავის საქმეს ჩინებულად ასრულებს, ოღონდ...

— ოღონდ რა?

— მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თუ ვითამაშებთ, შემადგენლობის გაძლიერება აუცილებლად დაგვჭირდება.

— იურგენ კლინსმანის მოსვლა გაგიხარდათ?

— რა თქმა უნდა. ის დიდებული მეგოლე იყო და როგორც წესი, ასეთი ფეხბურთელები მწვრთნელობისას შემტევ ტაქტიკას ირჩევენ. ჩემთვის ეს ზედგამოჭრილია, რადგან ფორვარდი ვარ, კლინსმანზე სხვას ვერაფერს ვიტყვი.

— რატომ?

— ოტმარ ჰიცფელდის გამო და კიდევ იმიტომ, რომ სეზონი დასამთავრებელია და ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი. აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთ.

— რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს?

— ჩვენთვის მხოლოდ გამარჯვება არსებობს. სხვა გუნდებში მარცხს „ბაიერნივით“ მტკივნეულად არ აღიქვამენ.

— ნახევარ სეზონში „ბაიერნში“ 17, ნაკრებში კი 5 გოლი გაიტანეთ. გოლების რაოდენობის გაზრდას რამდენამდე აპირებთ?

— ჩემთვის მთავარი რაოდენობა კი არა, საკუთარი თამაშის სრულყოფაა.

— ერთხელ კლოზემ თქვა, რომ თქვენ ნელი ხართ...

— თვითონ საკმაოდ სწრაფია საიმისოდ, რომ საგოლე პასებით მომამარაგოს.

კორუფცია ნოვი სადში

სერბეთის ნოვი სადის „ვოივოდინას“ პრეზიდენტი რატკო სტანკოვიჩი, სტადიონის დირექტორი მილან ჩაბრიჩი და სამი მაჯი (ილო იეკნიჩი, ბორისლავ კაშანსკი და გორან კოვაჩევიჩი) პოლიციამ დააკავა. დაპატიმრებულები მატჩების გარიგებაში არიან ეჭვმიტანილნი. „ბუტოროვიჩი და ჩაბრიჩი იენკიჩს და კაშანსკის პერიოდულად ქრთამავდნენ კოვაჩევიჩის შუამავლობით, რათა „ვოივოდინა“ მუდმივად ცხრილის ზედა ნახევარში ყოფილიყო“ — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში. სერბეთის სუპერლიგაში „ვოივოდინა“ ლიდერ „პარტიზანს“ შვიდი ქულით ჩამორჩება.

სადავო დე მელო

„პარმამ“ და „პალერმომ“ ფორვარდ ტულიო დე მელოს გამო იდავეს და საბოლოოდ ფეხბურთელი პალერმოელებს დარჩათ. ორივე კლუბი ოფიციალურად აცხადებდა, რომ ფეხბურთელმა კონტრაქტი მათთან გააფორმა. პარმელებმა ფეხბურთის ფედერაციას სიცილიელებზე ადრე, ამ თვის დასაწყისში აცნობეს დე მელოს კონტრაქტის თაობაზე, მაგრამ „პარმას“ პრეზიდენტმა ტომაზო ჯირარდიმ გუშინ განაცხადა, რომ ფეხბურთელი ორი გუნდის საერთო საკუთრება იქნება, ოღონდ ამ სეზონს „პალერმოში“ ითამაშებს და სიცილიელები პარმელებს კომპენსაციას გადაუხდიან.

ჯო ფავიდა, ანდრეა მივიდა

„კალიარიმ“ ჯო ბიზერა თელ ავივის „მაკაბის“ სეზონის ბოლოამდე ათხოვა, ანდრეა კოსუ კი დაიმატა. კოსუ „ვერონაში“ იყო განათხოვრებული და სარდინიელებმა დაიბრუნეს. იგი „კალიარიში“ 2005-06 წლების სეზონში თამაშობდა. გარდა ამისა, კლუბი პასკუალე ფოჯას გაყიდვას აპირებს. მისი გადაბირება „ნაპოლის“ და „პალერმოს“ სურთ.

სანტაკროჩე B-დან

„ნაპოლიმ“ ორი დღის წინ არგენტინელი მეკარე ნიკოლას ნავარო შეიძინა, გუშინ სერია B-ს „ბრეშადან“ ფაბიანო სანტაკროჩე გაიყვანა. გუნდმა იანვრის თვეში სუსტად ითამაშა და სამ მატჩში ქულაზე მეტი ვერ აიღო. სანტაკროჩე ბრაზილიაშია დაბადებული, მაგრამ იტალიის მოქალაქეა და ამ ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს. „ნაპოლისთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დაჩაგრული ერაყელი

ერაყის ნაკრების ფეხბურთელ ნაშატ აკრამს ბრიტანეთში სამუშაო ვიზა არ მისცეს და „მანჩესტერ სიტიში“ მისი ტრანსფერი არ შედგა. ვიზების გამცემთა თქმით, ერაყი ფიფას რეიტინგში 72-ე ადგილზეა და მუშაობის უფლებაც ამიტომ ვერ მიიღო, მაგრამ აკრამმა განაცხადა: „პრემიერლიგაში ბევრი ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომლის ქვეყანაც ფიფაში ჩვენზე დაბლაა. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ბრიტანეთის მთავრობას ორმაგი სტანდარტები აქვს, რაც ადამიანის უფლებების დარღვევაა“.

არ დალიო, დეკუ!

„ბარსელონას“ ნახერვამცველ დეკუს სიმთვრალის გამო მართვის უფლების სამი თვით ჩამორთმევა და 886 დოლარით დაჯარიმება ემუქრება. 17 იანვარს დეკუ ავტომობილით ბარსელონის ცენტრში მოძრაობისას გააჩერეს და სისხლში ალკოჰოლის დაშვებულ რაოდენობაზე (0,25 პროცენტი) ათი პროცენტით მეტი აღმოუჩინეს.

ზოლიანი ნიკულესკუ

ბუნდესლიგის აუტსაიდერმა „დუისბურგმა“ შეტევა გააძლიერა. „ზებრებმა“ ბუქარესტის „დინამოდან“ რუმინული ფორვარდი კლაუდიუ ნიკულესკუ იყიდეს. მის სანაცვლოდ გერმანულმა კლუბმა 700 ათასი ევრო გადაიხადა. ფეხბურთელმა, რომელიც რუმინეთის ჩემპიონატის ბომბარდირი ორჯერ გახდა, „დუისბურგთან“ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

დი სი გალიარდო

არგენტინელი ნახევარმცველი მარსელო გალიარდო, რომელმაც ცოტა ხნის წინ პსჟ-სთან კონტრაქტი გაწყვიტა, აშშ-ის „დი სი იუნაიტედში“ გადავიდა. 32 წლის ფეხბურთელმა პარიზულ კლუბში ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და გუნდის გამოცვლას ლამობდა. 2000 წელს „მონაკოში“ თამაშისას იგი საფრანგეთის ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ბოთლის სროლა ისჯება

„ოსასუნას“ მწვრთნელ ხოსე ანხელ სიგანდას და „სევილიას“ ნახევარმცველ ადრიანო კორეიას სადისციპლინო კომიტეტმა თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. შაბათს ეს გუნდები სევილიაში შეხვდნენ და მასპინძლებმა ბოლო წუთზე საეჭვო პენალტით მოიგეს. „ოსასუნას“ თავკაცი მეოთხე მსაჯს და ოფიციალურ დელეგატებს გაექაჩა, ხოლო ადრიანომ მეტოქე ფეხბურთელს, ასპილიკუეტას, წყლიანი ბოთლი მოარტყა თავში.

ვაჟა ხუციშვილი

ამანტინო მანსინიმ სამპდორიას გადააბიჯა

იტალია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

რომა 1:0 სამპდორია (1:1)

1:0 მანსინი (61)

რომა: კურჩი (ა. დონი 11), სისინიო, პანუჩი, კასეტი, ტონეტო, აკუილანი, დე როსი, ტადე, ფოული (დ. პიზარო 82), მანსინი, ტოტი (ფეროტა 69)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

სამპდორია: მირანტე, კამპანარო, სალა (ბერი 87), ლუკინი (კასტალდელო 60), კაძენინი (ფრანჩესკინი 69), მაჯო, ვოლპი, დელვეკიო, ციტლერი, ბელუჩი, ბონაცოლი

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: აკვილანი, ტონეტო, ფრანჩესკინი

მსაჯი: აიროლდი

25 000 მაყურებელი

რომაელებმა კარგად იცოდნენ, რომ „სამპდორიასთან" იოლი ბრძოლა არ ელოდათ, მაგრამ ამოცანას თავი მშვენივრად გაართვეს, სასურველი ანგარიშით იმარჯვეს და ნახევარფინალში დამსახურებულადაც გავიდნენ. თუმცა არც გენუელებს შეურცხვენიათ თავი. მათ ბოლომდე იბრძოლეს.

„ჯალოროსის" მატეო ფერარი და ფილიპ მექსეში არ ჰყავდა, გენუელებს კი ანტონიო კასანო აკლდათ, რომელმაც ისევ მცირე ტრავმა მიიღო და თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ „სტადიო ოლიმპიკოზე" თამაშის სურვილი ვერ აისრულა.

ჯანლუკა კურჩის თავისი ოსტატობის გამოვლენის საშუალება სრულად არ მიეცა, რადგან მე-11 წუთზე დაშავდა და „რომას" ძირითადმა მეკარემ ალეშანდრო დონიმ შეცვალა.

„სამპდორია" პერიოდულად მწარედ იკბინებოდა და „რომას" ბევრს არაფერს უთმობდა. დედაქალაქელთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ახლახან მომჯობინებული ალბერტო აკუილანი გახლდათ. მას ორჯერ გატანაც შეეძლო: ერთხელ ანტონიო მირანტემ აჯობა, მერე კი ბრწყინვალე მაკრატელათი ოდნავ ააცილა მიზანს.

აბა, „რომასგან" გოლს ვინ გაიტანდა, თუ არა ამ სეზონში და განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ამანტინო მანსინი? ბრაზილიელმა ჩვეულ სტილში მრავალჯერ გადააატარა ბურთს ფეხები, თავბრუდახვეულ ლუიჯი სალას გასცდა და კარგადაც დაარტყა.

ამის მერე თამაში უფრო გაიხსნა და მომენტებიც ორივე კართან იყო. ერთ ეპიზოდში „რომა" დონიმ მცველების დახმარებით იხსნა, როცა კლაუდიო ბელუჩის დარტყმული და კიდევ ორი დამატებული გააუვნებლა.

„გარკვეული პრობლემები შეგვექმნა, რადგან დაცვაში ხარვეზები გვქონდა და მეტოქემაც პირველ მატჩთან შედარებით უფრო გახსნილი და შემტევი ფეხბურთი ითამაშა. სისინიოს ბრწყინვალე მატჩი ჰქონდა. მას განსაკუთრებულად გამოვარჩევ" — თქვა „რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

„სამპდორიას" მწვრთნელი ვალტერ მაცარი: „არ მიყვარს იმათზე ლაპარაკი, ვინც გვაკლია, მაგრამ ფაქტია, კასანო რომ გვყოლოდა, სულ სხვა თამაში იქნებოდა. მიუხედავად ამისა, კარგად გამოვიყურებოდით და, შეიძლება ითქვას, მოგებასაც კი ვიმსახურებდით. ძალიან სამწუხაროა, რომ რაც შევქმენით, ვერ გამოვიყენეთ და თასს გამოვეთიშეთ".

გიორგი ძაძაგაძე

მანსინიმ (მარჯვნივ) „რომა" ტოპკვარტეტში გაიყვანა

გადააგდეთ ოლდ ტრეფორდი

ალექს ფერგიუსონი „ოლდ ტრეფორდის" მინდვრის შეცვლას ითხოვს. დიახ, ნუ გაიკვირვებთ და, კვირას, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" 3:1 გამარჯვების შემდეგ სერ ალექსი საშინლად უკმაყოფილო ბრძანდებოდა. გასახდელში ფეხბურთელები მინდვრის საფარის გამო მისი სიბრაზის მოწმენი შეიქნენ. თურმე „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს ისიც კი უთქვამს, ამ საშინელი მოედნის გამო, შესაძლოა, ამ სეზონში ჩემპიონები ვერც კი გავხდეთო.

და, როგორ ფიქრობთ, რას აპირებს კლუბის ხელმძღვანელობა? რასაკვირველია, მოედნის შეცვლას, რაც 250 ათასი გირვანქა (დოლარებში 496 424 ათასი) დაუჯდება, მაგრამ რაკიღა მწვრთნელმა ასე ინება, ახალი საფარი 11 დღეში, მანჩესტერული ღერბისთვის მზად უნდა იყოს.

სხვათა შორის, ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ფერგის „ოლდ ტრეფორდის" მოედნის წუნი იმ დღეს პირველად შეემჩნიოს. მწვრთნელი სტადიონის გაბარიტების გაზრდის შემდეგ წუწუნებს. საქმე ის გახლავთ, რომ „ოლდ ტრეფორდზე" ტრიბუნების ანუ ტევადობის გაზრდამ მოედანს ჩრდილი მიაყენა, ჩრდილმა კი ბალახზე იმოქმედა.

პაპუნა კედია

მაღაზიაში, ინსტინქტისთვის

რაფა ბენიტესი დარწმუნებულია, რომ „ლივერპული" დაახლოებით ერთ თვეში დაძლევს იმ პერიოდს, რომელიც ახლა უდგას და პრემიერლიგის ტიტულს შტურმს მოუწყობს. მოგეხსენებათ, მერსისაიდელებმა ზედიზედ ოთხ შეხვედრაში ფრედ ითამაშეს, რასაც კლუბის მეპატრონეებთან დაკავშირებული ისტორიებიც დაემატა და ხალხი ფიქრობდა, რომ ესპანელი მწვრთნელი თანამდებობას მალე დატოვებდა — შეგახსენებთ, რომ ლივერპულელთა მფლობელებმა ტომ ჰიკსმა და ჯორჯ ჯილეტმა ერთი ხნის წინ ამერიკაში იურგენ კლინსმანთანაც დაიჭირეს საქმე, ბენიტესის ზურგსუკან მას „წითლების" გაძღოლას სთავაზობდნენ, რასაც მერე მთელი ამბავი მოჰყვა, თუმცა თანდათან ყველაფერი ჩაცხრა. ჰიკსმა და ჯილეტმა აღშფოთებული ფანობა დააშვიდეს, პირობა დადეს, რომ მათ საყვარელ მწვრთნელს კარგა ხანს არ შეეხებოდნენ და ცხოვრებაც, თითქოს, კალაპოტში ჩადგა.

რაფაელ ბენიტესი

„ახლა მთავარი ფეხბურთზე ფიქრია. დროა, საქმეს განახლებული ძალით მოვკიდოთ ხელი და შესაძლოა, ის მხარდაჭერა, რომელიც მეპატრონეებმა აღგვითქვეს, დაგვეხმაროს კიდეც. ვიცი, ახლა ყურადღების ცენტრში ისევ მე მოვექცევი. ამიერიდან ყველაფერზე პასუხს ისევ მე მომთხოვენ, მაგრამ ამას წლობით გახლავართ დაჩვეული. მომავალს იმედით შევცქერი, რადგან ჩვენს გუნდში საუცხოო ფეხბურთელები თამაშობენ".

გუშინდელი თამაშის წინ ლივერპულელები მეექვსე ადგილზე იყვნენ — მეოთხეზე მყოფ „ევერტონს" ორი ქულით ჩამორჩებოდნენ. ახლო მომავალში მათ ლონდონში „ჩელსისთან" ელით თამაში, მაგრამ ბენიტესი დარწმუნებულია, რომ მის ბიჭებს ძველი სიმძაფრის აღდგენამდე ბევრი აღარ უკლიათ.

„დღევანდელი მდგომარეობაც სრულიად სხვა იქნებოდა, ბოლო შეხვედრებში შექმნილი საგოლე მომენტებიდან ერთი-ორი რომ გამოგვეყენებინა — განაგრძო ბენიტესმა — ალბათ მეტი ცივსისხლიანობა გვმართებს, რადგან, ხომ გეუბნებით, მომენტებს ვქმნიდით, მაგრამ ვაგლახ, გოლის ინსტინქტი მაღაზიაში არ იყიდება. უკეთეს ფორმაში კი შევდივართ, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ უკვე ყველაფერი გამოვასწორეთ. პირადად ჩემი გუგმა ყოველ წელიწადს ყველა ჯილდოს მოგებაა, მაგრამ ამისათვის, სულ მცირე, მეტი მუშაობაა საჭირო. ამწუთას კი, როგორც გითხარით, მეტი ცივსისხლიანობა გვჭირდება".

პაპუნა კედია

სამეფო ზიდანის მოლოდინში
რეალს ლეგენდა უბრუნდება

ზიდანს მადრიდის „რეალში“ დაბრუნება უნდა. გენიალურმა ფრანგმა ოთხშაბათს მადრიდულ ელიტარულ რესტორანში სამეფო გუნდის პრეზიდენტ რამონ კალდერონთან და სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩთან ერთად ისადილა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

წელიწადნახევარია, რაც ზიზუ აქტიურ ფეხბურთს ჩამოშორდა. კაცი თამაშს არც ახლა აპირებს, მაგრამ სურს, მადრიდის „რეალის“ ბავშვთა გუნდებს თავისი გამოცდილებით დაეხმაროს.

„მინდა, ფეხბურთს დავუბრუნდე და მადრიდის „რეალს“, რომელსაც ჩემს მეორე ოჯახად ვთვლი, ჩემი გამოცდილებით დავეხმარო“ — განუცხადა ზიდანმა პრეზიდენტ კალდერონს.

სამეფო თეთრების თავკაცმა ეს ადრევე იცოდა. ფრანგმა ორიოდე კვირის წინ „ეკიპის“ ჟურნალისტს უთხრა, ფეხბურთში დაბრუნება მინდა, მაგრამ რა ფორმით და რანაირად, ჯერ არ ვიცი. შემდეგ სენიორ კალდერონსა და ექსგალაქტიკოსს შორის რამდენიმე სატელეფონო საუბარი შედგა, რაც „კასტელანა 279“-ში სადილით და ფრანგთან თითქმის გარიგებით დამთავრდა.

ამჟამად ზიზუს „რეალში“ დაბრუნებაში ყველაზე მეტად ხელს სარეკლამო ფირმები უშლიან. მათთან ფრანგს ხანგრძლივი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, თუმცა ზიდანის „რეალისადმი“ სიყვარული იმდენად დიდია, რომ სარეკლამო გარიგებებს ეგებ გადაძალოს.

ფლორენტინო პერესის „გალაქტიკური ერის“ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის ოჯახი დღესაც მადრიდში ცხოვრობს. მისი ვაჟები ენცო და ლუკა კი „რეალის“ ბავშვთა გუნდებში თამაშობენ.

შეგახსენებთ, რომ ზიზუმ ფეხბურთი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დატოვა. მაშინ დიდმა ფრანგმა „რეალში“ 12-მილიონიან ჯამაგირზე თქვა უარი, ახლა კი სურს, ძველ გუნდს დაუბრუნდეს. „მომწონს თანამედროვე „რეალის“ ერთიანობა. ასეთ გუნდთან სიამოვნებით ვითანამშრომლებდი“ — ამბობს ოდინდელი გალაქტიკოსი.

ლადო ხომერიკი

სისოკო და სტენდარდი იუვემ გააბედნიერა

მოგეხსენებათ, მოჰამედ სისოკო ბოლოს და ბოლოს გადავიდა „იუვენტუსში“ და კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი უკვე კლაუდიო რანიერის განკარგულებაშია, რადგან მისი მალი აფრიკის თასს გამოეთიშა. „ბიანკონერიში“ იგი 22-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ტურინელებს სისოკო 8,2 მილიონი გირვანქა დაუჯდათ — 3,2 მილიონს ახლავე შეელევიან, 2,5-2,5 მილიონს კი 2009 და 2010 წლების 10 ივლისს გადაიხდიან. თუ მალელი სტაბილურად და წარმატებით ითამაშებს „ბიანკონერის“ რიგებში, „ლივერპულს“ ბონუსების სახით მეტი თანხაც შეხვდებათ.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დიდ კლუბში გადმოვედი. ეს ტრანსფერი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ჩემს კარიერაში. ერთი სული მაქვს, ჯიჯი ბუფონის, ალესანდრო დელ პიეროს და სხვა ვარსკვლავების გვერდიგვერდ როდის ვითამაშებ. კლაუდიო რანიერი კი ჩინებული ადამიანი და მწვრთნელია, მასთან ერთად „ვალენსიაშიც“ ვიყავი“ — განუცხადა სისოკომ „იუვენტუსის“ ოფიციალურ ვებგვერდს.

გახარებულია „ბებერი ქალბატონის“ მეორე ახალწვეული გულიელმო სტენდარდოც, რომელიც „იუვემ“ სეზონის ბოლომდე „ლაციოსგან“ გამოსყიდვის პერსპექტივით ინათხოვრა, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, გამოისყიდოს, რადგან რომაელები მცველში 10 მილიონ ევროს ითხოვენ და ტურინელებს ეს თანხა ეძვირებათ.

„მე და მთელი ჩემი ოჯახი ბედნიერები ვართ, რომ „იუვეს“ დარ კლუბში თამაშის შანსი მომეცა. ვეცდები, მაქსიმალურად დავიხარჯო და გუნდს დავეხმარო. კლაუდიო რანიერის მადლობა უკვე გადავუხადე და მის განკარგულებაში ვარ. ჩემი ახალი თანაგუნდელებიდან რამდენიმეს უკვე ვიცნობ — რაფაელე პალადინოს, ემანუელე ბელარდის, მარკო მარკიონისა და კრისტიან მოლინაროს. რატომ ავიღე 25-ნომრიანი მაისურა? თითქმის ყოველთვის 2-ნომრიანით ვთამაშობდი, მაგრამ 5 ნომერიც მქონია, ავდექი და ეს ორი რიცხვი შევაერთე“ — თქვა სტენდარდომ.

გიორგი კაკაბაძე

კარლეს პუიოლი: რეალის დანევა შეუძლებელი როდია

„რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის საჩემპიონო რბოლაში განსხვავება უკვე 9 ქულაა. ესპანეთის დედაქალაქში გამარჯვებას წინასწარ ზეიმობენ, თუმცა „ბარსას“ კაპიტანი კარლეს პუიოლი „ასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კატალონიელებს ფარ-ხმალი არასდროს დაუყრიათ და დანებებაზე არც ახლა ფიქრობენ

— თქვენი გუნდის გულშემატკივრები „ბარსას“ ბოლოჟამინდელი არასახარბიელო თამაშით ოდნავ გულგატეხილები არიან. ინჩადას მისამართით რას იტყოდით?

— იმას, რომ ყველანაირი ჯილდოსთვის ვიბრძოლებთ. ეს არის ჩვენი საფიქრალი და ჩვენი მოვალეობა. თან მინდა გითხრათ, რომ თავის ჩაქინდვრას და ფარ-ხმლის დაყრას არანაირ შემთხვევაში არ ვაპირებთ. მართალია, „რეალმა“ ქულებით მნიშვნელოვნად გაგვასწრო, მაგრამ მადრიდელთა დაწევა შეუძლებელი სულაც არ არის. ისე, ვაღიარებ, რომ ბოლო მატჩის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები ძალიან ცუდ გუნებაზე იყვნენ. მოდუნება არ შეიძლება, ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ.

— თუმცა თქვენი დღევანდელი სიტუაცია საბრძოლო განწყობის გაღვივებაში ნამდვილად ვერ დაგეხმარებათ...

— მთავარია დავიჯეროთ, რომ „ბარსა“ დაწინაურებას მოახერხებს. ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თუმცა გამარჯვების რწმენაც ძალიან მნიშვნელოვანია.

— ანუ გულშემატკივრებს უფრო მეტ მოთმინებას სთხოვთ?

— წარმატების მიღწევას მხოლოდ ერთად თუ მოვახერხებთ.

— ხუთშაბათს „ვილიარეალთან“ რთული სათასო მატჩი გელით. არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ „ვილიარეალს“ ამ თამაშზე დამატებითი მოტივაცია აქვს და „ყვითლები“ თქვენს წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად იბრძოლებენ. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „ბარსა“ კოპა დელ რეის ტურნირს დატოვებს?

— რა უნდა მოხდეს... სიტუაცია უფრო გაგვირთულდება.

— ლა ლიგას ჩემპიონობას ამ სეზონში ნაკლებ ყურადღებას აქცევთ?

— კოპა დელ რეიზეც „ცოცხლები“ ვართ და ჩემპიონთა ლიგაშიც, თუმცა „ბარსელონა“ უარს, რასაკვირველია, არც პრიმერას ოქროზე იტყვის. სამივე დიდი ჯილდოს მოგება გრანდიოზული რამ იქნება.

— რა შეიძლება მოუტანოს გუნდს რონალდინიოს დაბრუნებამ?

— იმ სიხალისეს დაგვიბრუნებს, რაც ასე გვაკლია. რონი შესანიშნავი ფეხბურთელია. მთავარია, მას თამაშში ხელი არ შეეშალოს — საყვარელი საქმით თავადაც ერთობა და სხვასაც სიამოვნებას ანიჭებს. „კიჭა“ საომრადაა შემართული, ტრავმა უკვე აღარ აწუხებს და ვფიქრობ, ჩვენთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

— რა შეიძლება, „ბარსელონამ“ რონის ამ ეტაპზე მოსთხოვოს?

— მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ და მთელი პასუხისმგებლობა მას არ უნდა დავაკისროთ. რონალდინიო საჭირო კაცია. არ მესმის, ამ ფეხბურთელს ასე მძაფრად რატომ აკრიტიკებენ.

— ბევრი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ „ბარსელონას“ ბოლო ხანებში გოლის გატანა ძალიან უჭირს...

— ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდები გვყავს, მაგრამ პასუხისმგებლობის მარტო მათზე დაკისრება შეცდომა იქნება. გოლის გატანაში ყველანი უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს.

— მაგრამ, ხომ მეთანხმებით იმაში, რომ „ბარსას“ მეტოქეთა კარის დალაშქვრა უძნელდება?

— დიახ, ეს სიმართლეა.

— მაგალითად, მსგავსი რამ გასულ კვირას ბილბაოში მოხდა ...

— საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ, თან ჩაკეტილი თამაშიც იყო... ყოველივე ამისგან შესაბამისი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ.

— რა უნდა გააკეთოს „ბარსელონამ“, რომ თავისი საქმე სასიკეთოდ შემოაბრუნოს?

— ხანდახან უფრო პრაქტიკულები უნდა ვიყოთ და ისე ვითამაშოთ, რამაც ადრე დიდი წარმატებები მოგვიტანა.

— თქვენი მწვრთნელი ფრანკ რაიკარდიც კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა...

— ფრანკისთვის სამუშაოში ხელის შეშლა სისულელე იქნება. რაიკარდი დიდი მწვრთნელია.

გააბრაზეს

სიცილიური „პალერმოს“ მოთხოვნა, „რომასთან“ მატჩი გადათამაშებულიყო ან დედაქალაქელებს ტექნიკური მარცხი (0:3) ჩათვლოდათ, არ დაკმაყოფილეს.

მოკლედ შეგახსენებთ, რომ „რომასა“ და „პალერმოს“ მატჩში ერთადერთი გოლი ამანტინო მანსინიმ თავურით შეაგდო, როდრიგო ტადეის ჩაწოდებული კუთხურის მერე. სიცილიელების აზრით კი, პრობლემა იმაშია, რომ კუთხურის ნიშნულზე ბურთი სწრაფად მიიტანა და დადო ბურთების მიმწოდებელმა ბიჭუნამ და ტადეიმაც უმალ ჩაწოდა...

„ჩვენს საჩივარზე უარყოფითი პასუხი მოსალოდნელი იყო. ნამდვილად გავოცდებოდი, სხვაგვარად თუ მოხდებოდა. იტალიაში გველები და მატყუარები ყოველთვის იგებენ და ამის კიდევ ერთი დემონსტრირებაც სახეზეა“ — თქვა „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ.

ძოკი კანდელაკი

საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ამიენი 1:0 ლიბურნი
სედანი 0:1 ტრუა

ლე ავრი	21	12	7	2	37:18	43
ნანტი	22	12	6	4	33:18	42
ტრუა	22	11	8	3	30:19	41
ბასტია	21	10	6	5	31:19	36
კლერმონი	21	8	11	2	32:21	35
გრენობლი	22	9	7	6	29:23	34
მონპელიე	22	8	8	6	25:18	32
ანჟერი	22	8	8	6	21:19	32
აიაჩო	22	8	8	6	24:23	32
სედანი	22	7	9	6	26:25	30
ბულონი	22	7	6	9	25:31	27
ბრესტი	22	7	6	9	19:28	27
გენგამი	22	6	8	8	21:21	26
რეიმსი	21	7	4	10	24:34	25
შატორუ	22	5	8	9	21:26	23
ნიორი	22	6	4	12	20:26	22
დიჟონი	22	4	10	8	16:30	22
ამიენი	22	4	8	10	21:31	20
ლიბურნი	22	4	6	12	25:38	18
გენიონი	22	2	8	12	21:33	14

სარბიელი ᲓᲐ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		2 თებერვალი						
19:00	14	ტოტენჰემი-მანჩესტერი	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
19:00	16	უიგანი-ვესტ ჰემი	2.50	3.20	2.70	1.40	1.29	1.46
19:00	17	ბირმინგემი-დერბი	1.55	3.50	6.30	1.07	1.24	2.25
19:00	18	ბლექბერნი-ევერტონი	2.40	3.20	2.80	1.37	1.29	1.49
19:00	20	ლივერპული-სანდერლენდი	1.30	4.70	9.00	1.01	1.13	3.08
19:00	21	ლივერპული-სანდერლენდი 0:1	1.70	3.60	3.30			
16:45	22	სიტი-არსენალი	3.90	3.20	1.90	1.75	1.27	1.19
19:00	24	პორტსმუთი-ჩელსი	5.00	3.20	1.70	1.95	1.26	1.11
19:00	25	პორტსმუთი-ჩელსი 1:0	1.90	3.30	2.90			
19:00	26	რედინგი-ბოლტონი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
		3 თებერვალი						
20:00	19	ფულემი-ასტონ ვილა	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
17:30	23	ნიუკასლი-მიდლსბრო	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		2 თებერვალი						
19:00	37	სტოკი-კარდიფი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	38	უოტფორდი-ფულვერჰემპტონი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:00	39	ბლეკპული-ლესტერი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:00	40	ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	41	კოლჩესტერი-შეფილდი	2.60	3.20	2.50	1.43	1.27	1.40
19:00	42	ქოვენთრი-ბარნსლი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	43	კრ. პალასი-საუთჰემპტონი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
19:00	44	ნორვიჩი-პრესტონი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
19:00	45	პლიმუთი-ჰალი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
19:00	46	ქარ-ბრისტოლი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:00	47	სკანთორპი-ჩარლტონი	2.85	3.20	2.30	1.50	1.27	1.33
19:00	48	უენსდი-იფსვიჩი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		ინგლისი. I ლიგა						
		2 თებერვალი						
19:00	61	მილუოლი-დონკასტერი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	62	სუონსი-ოლდემი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
19:00	63	სუინდონი-ნორთჰემპტონი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	64	ბორნმუთი-ნოტინგემი	3.60	3.30	1.90	1.72	1.24	1.20
19:00	65	იოვილი-ჰადერსფილდი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	66	ბრაიტონი-ქრიუ	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
19:00	67	როვერსი-პორტ ვეილი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
19:00	68	კარლაილი-უოლსოლი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
19:00	70	ჰარტლპული-ლუტონი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
19:00	71	ლიდსი-ტრანმერი	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95
19:00	72	ლეიტონი-საუთენდი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		ინგლისი. კონფერენსი						
		31 იანვარი						
23:45	108	ალტრინჰემი-უოკინგი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		2 თებერვალი						
19:00	624	კლაიდი-სტირლინგი	1.73	3.50	4.00	1.15	1.20	1.86
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		2 თებერვალი						
19:00	131	ერდრი-რეითი	2.25	3.50	2.65	1.36	1.21	1.50
19:00	132	ბერიკი-კოუდენბითი	3.50	3.55	1.85	1.76	1.21	1.21
19:00	133	პიტერჰედი-ალოა	2.00	3.50	3.00	1.27	1.20	1.61
19:00	134	ქუინზ პარკ-ბრეჩინი	2.60	3.50	2.30	1.49	1.22	1.38
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		2 თებერვალი						
19:00	136	დამბარტონი-ელგინი	2.15	3.50	2.80	1.33	1.21	1.55
19:00	137	ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი	1.20	5.75	10.00	1.00	1.07	3.65
19:00	138	მონტროზი-ალბიონი	1.50	3.75	5.50	1.07	1.17	2.22
19:00	139	სტენჰაუზმური-არბროთი	2.05	3.50	2.90	1.29	1.20	1.58
19:00	140	სტრანრარი-ფორფარი	1.45	4.30	5.25	1.08	1.13	2.36
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		1 თებერვალი						
23:30	141	ჰანზა-ბაიერნი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
23:30	142	ჰანზა-ბაიერნი 1:0	2.80	3.40	2.05			
		2 თებერვალი						
18:30	143	კოტბუსი -ლევერკუზენი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
18:30	145	კარლსრუე-ნიურნბერგი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
18:30	146	დუისბურგი-დორტმუნდი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
18:30	147	ჰამბურგი-ჰანოვერი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
18:30	149	ჰერტა-აინტრახტი	2.00	3.20	3.35	1.23	1.25	1.63
18:30	150	არმინია-ვოლფსბურგი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
		3 თებერვალი						
20:00	151	შალკე-შტუტგარტი	1.95	3.20	3.65	1.21	1.27	1.70
20:00	152	ვერდერი-ბოხუმი	1.30	4.40	9.50	1.00	1.14	3.00
20:00	153	ვერდერი-ბოხუმი 0:1	1.90	3.50	3.30			
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		1 თებერვალი						
21:00	154	გლადბახი-ლაუტერნი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
21:00	155	ვეენი-ჰოფენჰაიმი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
21:00	156	კიოლნი-ზტ.პაული	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
		3 თებერვალი						
17:00	157	კობლენცი-მაინცი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
17:00	158	მიუნხენი 1860-აუგსბურგი	2.00	3.20	3.35	1.23	1.25	1.63
17:00	159	ფიურტი-აუე	1.60	3.40	5.10	1.08	1.21	2.03
17:00	160	ოფენბახი-პადერბორნი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
17:00	161	ფრაიბურგი-ოსნაბრიუკი	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
		4 თებერვალი						
23:15	162	კარლ ცაისი-ალემანია	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		2 თებერვალი						
20:45	609	სიონი-გრასჰოპერი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
20:45	610	ციურიხი-თუნი	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81
19:00	613	იანგ ბოიზი-ბაზელი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
		3 თებერვალი						
19:00	611	აარაუ-სტ.გალენი	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
19:00	612	ქსამაქსი-ლუცერნი	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
		იტალია. სერია A						
		2 თებერვალი						
21:00	168	პალერმო-ლივორნო	1.60	3.20	5.70	1.06	1.24	2.04
23:30	174	ნაპოლი-უდინეზე	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
		3 თებერვალი						
18:00	163	იუვენტუსი-კალიარი	1.15	5.60	15.00	1.00	1.06	4.07
18:00	164	იუვენტუსი-კალიარი 0:1	1.50	3.50	4.00			
18:00	165	ჯენოა-კატანია	1.95	2.90	4.30	1.16	1.34	1.73
18:00	166	ინტერი-ემპოლი	1.15	5.80	16.00	1.00	1.07	4.25
18:00	167	ინტერი-ემპოლი 0:1	1.45	3.50	4.30			
23:30	169	ფიორენტინა-მილანი	2.90	3.00	2.35	1.47	1.29	1.31
18:00	170	სიენა-რომა	5.70	3.30	1.60	2.08	1.24	1.07
18:00	171	სიენა-რომა 1:0	2.10	3.20	2.85			
18:00	172	ლაციო-სამპდორია	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
18:00	173	რეჯინა-ტორინო	2.15	2.80	3.70	1.21	1.35	1.59
18:00	175	პარმა-ატალანტა	2.20	2.80	3.40	1.23	1.33	1.53
		იტალია. სერია B						
		2 თებერვალი						
19:00	176	ალბინოლეფე-ვიჩენცა	1.45	3.40	7.40	1.01	1.21	2.32

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	177	მანტოვა-აველინო	1.45	3.40	7.85	1.01	1.22	2.37
19:00	178	ტრიესტინა-კიევო	3.20	2.70	2.30	1.46	1.33	1.24
19:00	179	ბრეშა-გროსეტო	1.40	3.50	8.40	1.00	1.20	2.47
19:00	180	ტრევიზო-ლეჩე	3.10	2.80	2.30	1.47	1.32	1.26
19:00	181	ჩეზენა-მესინა	2.55	2.70	2.80	1.31	1.33	1.37
19:00	182	მოდენა-პიაჩენცა	1.85	2.80	4.65	1.11	1.32	1.74
19:00	183	ფროზინონე-პიზა	2.70	2.80	2.60	1.37	1.32	1.34
19:00	184	ასკოლი-რავენა	1.60	3.10	5.90	1.05	1.25	2.03
19:00	185	ბარი-რიმინი	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
19:00	186	ბოლონია-სპეცია	1.25	4.10	11.60	1.00	1.12	3.02
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		2 თებერვალი						
23:00	213	ალმერია-რეალი	5.25	3.40	1.65	2.06	1.25	1.11
23:00	214	ალმერია-რეალი 1:0	2.12	3.20	2.65			
23:45	216	ბეტისი-დეპორტივო	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
		3 თებერვალი						
22:00	205	ბარსელონა-ოსასუნა	1.20	5.60	12.00	1.00	1.09	3.81
22:00	206	ბარსელონა-ოსასუნა 0:1	1.60	3.50	3.80			
20:00	207	სარაგოსა-ბილბაო	1.80	3.30	4.25	1.16	1.26	1.85
20:00	208	ლევანტე-რასინგი	3.30	3.10	2.15	1.59	1.30	1.26
20:00	209	ატლეტიკო-მურსია	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
20:00	210	ატლეტიკო-მურსია 0:1	1.90	3.40	3.00			
20:00	211	ვილიარეალი-მალიორკა	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95
20:00	212	ვილიარეალი-მალიორკა 0:1	2.80	3.20	2.05			
20:00	215	ვალიადოლიდი-ვალენსია	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
23:45	217	ხეტაფე-ესპანიოლი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
20:00	218	უელვა-სევილია	3.10	3.10	2.20	1.54	1.28	1.28
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		3 თებერვალი						
20:00	219	ალბასეტე-სერესი	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
20:00	220	ჰერკულესი-გრანადა	2.20	2.90	3.15	1.25	1.29	1.50
20:00	221	კადისი-ტენერიფე	2.15	2.95	3.20	1.24	1.28	1.53
20:00	222	სევილია ბ-სალამანკა	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
20:00	223	მალაგა -ალავესი	1.60	3.25	5.25	1.07	1.22	2.00
20:00	224	ტარაგონა-კორდობა	2.15	2.90	3.25	1.23	1.29	1.53
20:00	225	სელტა-კასტელონი	1.75	3.10	4.40	1.11	1.25	1.81
20:00	226	სოსიედადი-ეიბარი	1.80	3.10	4.10	1.13	1.25	1.76
20:00	227	ფეროლი-ეხიდო	2.05	2.95	3.45	1.20	1.28	1.59
20:00	228	სპორტინგი-ლას პალმასი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
20:00	229	ნუმანსია-ელჩე	1.75	3.05	4.50	1.11	1.25	1.81
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		3 თებერვალი						
21:00	266	ბენფიკა-ნასიონალი	1.30	4.30	9.00	1.00	1.13	2.90
21:00	267	ბენფიკა-ნასიონალი 0:1	1.90	3.30	3.10			
21:00	268	ბოავიშტა-ფერეირა	1.90	3.10	4.20	1.17	1.30	1.78
20:00	269	ამადორა-ბრაგა	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
21:00	270	პორტუ-ლეირია	1.12	6.50	18.00	1.00	1.05	4.77
21:00	271	პორტუ-ლეირია 0:1	1.45	3.40	5.50			
21:00	272	გიმარაეში-ლეიშოეში	1.65	3.30	5.20	1.10	1.25	2.01
21:00	273	გიმარაეში-ლეიშოეში 0:1	2.60	3.40	2.15			
21:00	274	სეტუბალი-ნავალი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
21:00	275	აკადემიკა-მარიტიმუ	2.40	3.10	2.80	1.35	1.29	1.47

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	276	ბელენენსეში-სპორტინგი	3.30	3.20	2.05	1.62	1.26	1.24
		საბერძნეთი						
		2 თებერვალი						
18:45	291	არისი-ერგოტელისი	1.35	4.00	8.50	1.00	1.16	2.72
18:45	292	ატრომიტოსი-ქსანთი	2.05	2.90	3.50	1.20	1.29	1.58
		3 თებერვალი						
18:45	285	ოფი-პაოკ	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52
17:00	286	ვეროია-ირაკლისი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
21:00	287	პანათინაიკოსი-ასტერას ტრიპოლისი	1.30	4.30	9.00	1.00	1.13	2.90
21:00	288	აეკ-პანიონიოსი	1.40	3.70	8.30	1.01	1.19	2.55
18:45	289	კალამარია-ოლიმპიაკოსი	7.00	4.00	1.35	2.54	1.13	1.00
17:00	290	ლევადეიაკოსი-ლარისა	2.45	2.90	2.75	1.32	1.29	1.41
		აფრიკის თასი 2008						
		31 იანვარი						
21:00	616	სენეგალი-სამხრეთ აფრიკა	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
		ესპანეთი. თასი						
		31 იანვარი						
23:00	126	ბილბაო-რასინგი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
23:45	127	ბარსელონა-ვილიარეალი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
		ლიბერტადორესის თასი						
		31 იანვარი						
23:45	620	ოლმედო(ეკვ)-ლანუსი(არგ)	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
23:45	621	სიენსიანო(პერ)-უონდერერსი(ურ)	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		ჰოკეი. შვედეთი						
		31 იანვარი						
21:00	400	ბრიუნესი-მოდო	2.10	4.00	2.25	1.37	1.08	1.44
21:00	401	ჰვ 71-ულეო	1.35	4.30	4.80	1.02	1.05	2.26
21:00	402	ტიმრე-ფერიესტადი	2.00	4.00	2.35	1.33	1.08	1.48
21:00	403	სიოდერტელიე-მორა	1.70	4.20	2.90	1.21	1.07	1.71
21:00	404	ლინხიოპინგი-ფრიოლუნდა	1.75	4.00	2.80	1.21	1.07	1.64
21:00	405	აიკ-იურგორდენი	2.05	4.00	2.25	1.35	1.07	1.44
		ჰოკეი. ფინეთი						
		31 იანვარი						
20:30	419	ჰაამეენლინა-ჰელსინკი	2.80	4.00	1.75	1.64	1.07	1.21
20:30	420	კალპა-პელიკანსი	3.35	4.20	1.55	1.86	1.05	1.13
20:30	421	სეიპა-კერპეტი	3.00	4.20	1.65	1.75	1.06	1.18
20:30	422	ტაპარა-იუვესკიულე	1.75	4.00	2.80	1.21	1.07	1.64
20:30	423	ესეტი-ილვესი	2.65	4.00	1.80	1.59	1.07	1.24
20:30	424	ესპოო-ტურკუ	1.45	4.20	4.25	1.07	1.08	2.11
		ჰოკეი. რუსეთი						
		31 იანვარი						
13:00	497	ამური-აკ ბარსი	3.20	4.20	1.50	1.81	1.02	1.10
		კალათბურთი. ევროლიგა						
		31 იანვარი						
23:00	592	ბამბერგი-ბარსელონა	3.50	12.00	1.25	2.70	1.00	1.13
22:45	593	რომა-როანე	1.15	12.00	4.30	1.04	1.00	3.16
22:45	595	რეალი-პანათინაიკოსი	1.60	12.00	2.20	1.41	1.00	1.85
22:45	599	არისი-მაკაბი	1.80	12.00	1.80	1.56	1.00	1.56
22:45	600	მილანი-ლე მანი	1.15	12.00	4.30	1.04	1.00	3.16
22:45	601	ციბონა-რიტასი	2.40	12.00	1.45	2.00	1.00	1.29
22:45	602	უნიკახა-ეფესი	1.35	12.00	2.70	1.21	1.00	2.20
22:45	603	ფენერბაჰჩე-პარტიზანი	1.45	12.00	2.50	1.29	1.00	2.06

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10126	ბილბაო-რასინგი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10127	ბარსელონა-ვილიარეალი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11126	ბილბაო-რასინგი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11127	ბარსელონა-ვილიარეალი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12126	ბილბაო-რასინგი	1.60	2.00
12127	ბარსელონა-ვილიარეალი	1.90	1.70

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13126	ბილბაო-რასინგი	1.80	1.80
13127	ბარსელონა-ვილიარეალი	1.80	1.80

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ფასდება ერთნაირად)

14126	ბილბაო-რასინგი	1.80	2.00
14127	ბარსელონა-ვილიარეალი	1.30	2.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15126	ბილბაო-რასინგი	3.00	2.80	2.00
15127	ბარსელონა-ვილიარეალი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16126	ბილბაო-რასინგი	1.58	2.10
16127	ბარსელონა-ვილიარეალი	1.14	4.70

გოლი:ფაქტი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფაქტად)

17126	ბილბაო-რასინგი	1.85	1.95
17127	ბარსელონა-ვილიარეალი	1.85	1.95

გურამ ფილიფავაშვილის ფოტო

ასპროცენტიანი

ნიკოლაძის ბომბარდირობა ავიამშენის დამსახურებაა

„ავიამშენმა“ გასულ კვირაში საქართველოს თასი რომ მოიგო, მისმა თავკაცმა ლევან მოსეშვილმა თქვა, გიორგი ნიკოლაძის გარდა მთელ გუნდს 50 პროცენტი მოსამატებელი აქვსო. „ავიატორთა“ უკანახაზელი ნამდვილად კარგ ფორმაშია და თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშე ხომ გახდა და „ავიამშენმა“ მანამდე რუსთავში ქორქია-საკანდელიძის მემორიალიც რომ მოიგო, მისი დიდი დამსახურებაა. გიორგი სუპერლიგის ბომბარდირებში მხოლოდ მაკაბელ სეხნია შერმადინს ჩამორჩება, რომელიც ყოველ მატჩში 40 წუთს სრულად ატარებს მოედანზე და მთელი გუნდი მის შედეგიანობაზე „მუშაობს“. გიორგი ნიკოლაძეს გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ შევხვდით...

— შენმა მწვრთნელმა ამას წინათ ორიგინალურად შეგაქო: ნიკოლაძის გარდა მთელ გუნდს მართებს მომატებაო. შენც ასე ფიქრობ?

— შედეგებიდან ყველაფერი კარგად ჩანს. ასეთი კარგი სეზონი კარგა ხანია, არ მქონია. ის კი არა, მგონი, ასეთი შედეგიანი არც არასდროს ვყოფილვარ. ნათქვამია, სპორტსმენი ყოველთვის წინასვლაზე უნდა ფიქრობდესო, მაგრამ ახლა ჩემთვის ამ ფორმის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია. მომატება შედარებით არარეალურად მეჩვენება. 25 ქულაზე მეტს ვაკეთებ საშუალოდ და ამაზე მეტი რაღა უნდა ვქნა. მაშინ მარტომ უნდა მოვიგო თამაშები. კმაყოფილი ვიქნები, ამ ტემპს თუ შევინარჩუნებ.

— რას იტყვი თანაგუნდელებზე?

— ნელ-ნელა ყველანი შედიან ფორმაში, რაც შედეგებზეც აისახა. კოტე ტულუში ათამაშდა და მალე თავის ოპტიმალურ ფორმას მიაღწევს. იგივე ითქმის ირაკლი ხოშტარიაზეც. შესაბამისად, გუნდიც უმატებს და თანდათან ვმთლიანდებით. თსუ-დან გადმოსულმა რიჩარდ მათიაშვილმა ძალიან გაგვაძლიერა, რაც გუნდურ თამაშზე უფრო აისახა, ვიდრე მის პირად სტატისტიკაზე. მათიაშვილმა დაცვა შეაკავშირა და ამის წყალობით მეტოქეებს უწინდელზე მეტად უჭირთ ჩვენს კალათში ბურთის ჩაგდება.

— პროგრესი აშკარაა — სუპერლიგის მეორე წრე მეოთხე ადგილზე გაასრულეთ, თუმც იანვარში ორი თასის მოგება მოახერხეთ...

— თანაც ერთ-ერთი თასი რუსთავში „ენერჯი-ინვესტის“ ძლევით მოვიპოვეთ, რაც სერიოზული წარმატებაა. მართალია, ლაშა გამყრელიძე აკლდათ რუსთაველებს, მაგრამ ეს ჩვენს წარმატებას არანაირად არ აკნინებს.

— რუსთაველებს სანამ ფინალში შეხვდებოდით, თსუ-მ კინაღამ გამოგაგდოთ. დასრულებამდე 6 წამით ადრე რომ არა შენი სამქულიანი, „ავიამშენი“ განწირული იყო. მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ შენ გესროლა?

— არა, ეს თამაშიდან გამომდინარე მოხდა. სხვათა შორის, ფინალში „ენერჯი-ინვესტსაც“ მე ჩავუგდე სირენამდე 30 წამით ადრე სამიანი და მაშინაც სპონტანურად გამომივიდა. არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ რატომღაც ვგრძნობ, რომ გადაწყვეტ სროლას ჩავაგდებ. იმ მატჩებში ისეთი გრძნობა მქონდა, ერთი სამიანიც რომ არ ჩამეგდო თამაშის განმავლობაში, ბოლოს მაინც არ ავაცილებდი. ზოგადად კი, მგონია, რომ გადამწყვეტი სროლა უკანახაზელმა პერიმეტრს გარედან უნდა შეასრულოს, ვიდრე ცენტრს ჩაუგდო ბურთი სამწამიანში და მერე იმან იქ იჯახიროს.

— რუსთავის მერე იყო თასის გათამაშება თბილისში, სადაც საუკეთესოდ დაგასახელეს...

— ჩემი კარგი თამაში ამპლუის შეცვლის და რა თქმა უნდა, თანაგუნდელების დამასახურებაა. აქამდე სულ გამთამაშებელი ვიყავი, ხოლო როცა ჩვენთან კოტე ტულუში გადმოვიდა, ლევან მოსეშვილმა ორ ნომერზე, მსროლელის პოზიციაზე გადამიყვანა. ტულუშთან ისე შევთამაშდი, რომ თვალდახუჭული ვუგებთ ერთმანეთს. არასდროს მიგვიანებს პასს და ჩემი შედეგიანობა მისი, ირაკლი ხოშტარიას და მთლიანად თანაგუნდელების დამსახურებაა.

— 2 თებერვალს სუპერლიგა განახლდება, სადაც ცხრილში მოკრძალებული ადგილი გიკავიათ...

— როგორც ბოლო მატჩებმა ცხადყო, საკმაოდ ბევრი შეგვიძლია და ფორმაშიც ასე თუ ისე, შევედით. ჰოდა, ახლა მთელ ძალებს ეროვნული ჩემპიონატისკენ მივმართავთ. რაც შეიძლება, მეტი თამაში უნდა მოვიგოთ, რომ საპლეიოფოდ ცხრილში ხელსაყრელი ადგილი დავიკავოთ.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

პირსახოცებიდან ამოყოფილი თავები

29 იანვარი

ფინიქსი 125:92 ატლანტა

ფინიქსი: ნეში (10 ქულა, 10 პასი), ბელი (4), დიაუ (16), მერიონი (19), სტუდემაიერი (24); ჰილი (16), ბარბოსა (13), ბანქსი (7), სკინერი (6), მარქსი (4), სტრობერი (3)

ატლანტა: ე. ჯონსონი (1), ჯ. ჯონსონი (9), მ. უილიამსი (18), სმიტი (7), ჰორფორდი (5); ჩილდრესი (17), ფაჩულია (20 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ლოუ (8), ჯონსი (5), შ. უილიამსი (4), ლუ (3), სტუდემაიერი (3)

სიეტლი 88:85 სან ანტონიო

სიეტლი: დურანტი (26), უილკოქსი (16 ქულა, 10 მოხსნა), კოლისონი (14 ქულა, 10 მოხსნა)

სან ანტონიო: ჯინობილი (29), დანკანი (27 ქულა, 12 მოხსნა), ობერტო (12)

მაიამი 87:117 ბოსტონი

მაიამი: ბლუნტი (20), ჯეკსონი (14)

ბოსტონი: პოუი (25 ქულა, 11 მოხსნა), რონდო (23), ტ. ალენი (20), ჰაუსი (20)

ნიუ ჯერსი 87:80 მილუოკი

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (20), კარტერი (16 ქულა, 12 მოხსნა)

მილუოკი: აივი (19), საიმონსი (14), მ. უილიამსი (14)

ვაშინგტონი 108:104 ტორონტო

ძირითადი დრო 95:95

ვაშინგტონი: ჯემისონი (24 ქულა, 20 მოხსნა), სტივენსონი (20), ბლეტჩი (19)

ტორონტო: ბოში (37 ქულა, 12 მოხსნა), კალდერონი (23 ქულა, 13 პასი), ჰამფრიზი (16)

ინდიანა 104:110 დეტროიტი

ინდიანა: დანლივი (25), მერფი (18), დინერი (18), გრეინჯერი (16)

დეტროიტი: ვოლესი (24 ქულა, 10 მოხსნა), პრინსი (17), ჰამილტონი (15)

ჩიკაგო 96:85 მინესოტა

ჩიკაგო: ჰაინრიხი (27), ნოჩიონი (18)

მინესოტა: ჯეფერსონი (20 ქულა, 12 მოხსნა), მაკკანტსი (16)

პიუსტონი 111:107 გოლდენ სტეიტი

პიუსტონი: მინი (36 ქულა, 19 მოხსნა), ჰედი (20), ალსტონი (17 ქულა, 12 პასი)

გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (25), დევისი (21), ელისი (18), ბიედრინსი (14 ქულა, 12 მოხსნა)

ლეიკერსი 120:109 ნიუ იორკი

ლეიკერსი: ბრაიანტი (24 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), ოდომი (22 ქულა, 11 მოხსნა), ვუიაჩიჩი (20), ფიშერი (17)

ნიუ იორკი: რობინსონი (22), კროუფორდი (22), ლი (21 ქულა, 12 მოხსნა), რენდოლფი (16 ქულა, 14 მოხსნა)

„სიეტლ სუპერსონიქსი“ თითქმის 40 წელია ნბა-შია და ასეთი უგემური სეზონი ჯერ არ ჰქონია. მფლობელი აპირებს „ზებგერითები“ ინდიელთა შტატად წოდებულ ოკლაჰომაში გადაყვანოს და წვიმიანი სიეტლი უკალათბურთოდ დატოვოს. ესეც რომ იქით იყოს, კარგი იქნებოდა, ბოლო სეზონში ამ საკმაოდ მდიდარი ტრადიციების კლუბს კუდი მოექნია, მაგრამ...

„სუპერსონიქსს“ კარგა ხანი სანატრელი ჰქონდა გამარჯვება, ზედიზედ 14 მატჩი წაეგო და საკლუბო ანტირეკორდი დაემყარებინა. გუნდში ყველას უიმედობისა და გულგატეხილობის ჭია შეჰპარვოდა. მოთამაშეები მოედნიდან რომ გამოვიდოდნენ, სკამზე ჩამომსხდრები პირსახოცებში მალავდნენ თავს. ახლა კი ეს ყველაფერი დასრულდა. „სიეტლმა“ ნემსის ყუნწში გააძვრინა ნაშიმშილები და გამხდარი სხეული და მოქმედ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ ძლევით შეწყვიტა უიღბლო სერია. გამარჯვებულთა 19 წლის ლიდერი კევინ დურანტი ალალად ხარობდა — ჩემპიონობასავით ტკბილია ეს გამარჯვებაო.

ზედიზედ 9 წაგების შემდეგ პირველად მოიგო „ნიუ ჯერსიმ“. ამ გუნდში შიდაარეულობაა, ლიდერი ჯეისონ კიდი შეფ როდ ტორნს უკვე მეორე წელია, სხვაგან გაცვლას სთხოვს, უკვე სახალხოდ ლანძღავს კიდეც, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოდის. კიდი ჯერსიში რჩება და უჩემპიონოდ ბერდება. არადა ეს ვეტერანი ძალიან სურს გრანდ „დალასს“. 35-ს მიტანებულ კიდს მიმდინარე სეზონში 11 სამმაგი დუბლი აქვს გაკეთებული, თუმც ახლა „მილუოკისთან მხოლოდ პასი გააკეთა 10-ზე მეტი (11) და ასე ასარგებლა „ბადეები“.

მორიგი მარცხი ჩაიწერა ექსჩემპიონმა „მაიამიმ“, თუმც მისი წაგება გიგანტ „ბოსტონთან“ არავის გაკვირვებია. „ბოსტონს“ ხშირად უკიჟინებდნენ, სამთავა გოლიათი ხარ და რეი ალენის, კევინ გარნეტისა და პოლ პირსის გარდა ხეირიანი არავინ გყავსო. თურმე როგორ არ ჰყოლია: ლიდერთაგან პირველ ორს ტრავმის გამო გაუცდა „მაიამისთან“ თამაში, მესამე კი მხოლოდ 7 ქულით შემოიფარგლა. საგიეროდ, „ბოსტონის“ ვითომ ბალასტიდან ერთბაშად ოთხმა შეძლო 20 და მეტი ქულის ჩაგდება.

ფინიქსში მთლად უიმედოდ წაგო ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“. მასპინძლებმა პირწმინდად დაჩაგრეს სტუმრები და სეზონის დასაწყისში ატლანტაში 96:105 წაგებისთვის სრულფასოვნად იძიეს შური. სათქმელია, რომ მაშინ „ფინიქსს“ აკლდა ვარსკვლავი ცენტრი ამარე სტუდემაიერი, ახლა კი ის ჯანზე იყო, თან ისეთზე, რომ პირველ ტაიმში 22 ქულა ჩაუკალათა „ატლანტას“ და ტაიმი 19 ქულით მოაგებინა თავისიანებს. სტუმარია ყველა ლიდერი ჩაფლავდა მარვინ უილიამსის გარდა და „ატლანტამ“ სათადარიგოებით გაასრულა მატჩი. ბოლო ხანს მარქაფში გადასროლილ ზაზა ფაჩულიასაც ამიტომ მოუგროვდა შედარებით მეტი ქულა, ვიდრე სხვა მატჩებში უგროვდება.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი				NBA
ატლანტიკა				
ბოსტონი	35	8	81,4	NBA
ტორონტო	24	20	54,5	NBA
ნიუ ჯერსი	19	26	42,2	NBA
ფილადელფია	17	28	37,8	NBA
ნიუ იორკი	14	30	31,8	NBA
ცენტრალური				
დეტროიტი	32	13	71,1	NBA
კლივლენდი	24	19	55,8	NBA
ინდიანა	19	27	41,3	NBA
ჩიკაგო	18	26	40,9	NBA
მილუოკი	18	28	39,1	NBA
სამხრეთ-აღმოსავლეთი				
ორლანდო	28	18	60,9	NBA
ვაშინგტონი	24	19	55,8	NBA
ატლანტა	18	23	43,9	NBA
შარლოტი	18	27	40,0	NBA
მაიამი	9	34	20,9	NBA

დასავლეთი			
სამხრეთ-დასავლეთი			
ნიუ ორლეანი	32	12	72,7
დალასი	31	13	70,7
სან ანტონიო	28	16	63,6
ჰიუსტონი	25	20	55,6
მემფისი	13	32	28,9
ჩრდილო-დასავლეთი			
იუტა	27	18	60,0
პორტლენდი	26	18	59,1
დენვერი	26	18	59,1
სიეტლი	10	35	22,2
მინესოტა	8	36	18,2
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	33	13	71,7
ლეიკერსი	28	15	65,1
გოლდენ სტეიტი	27	19	58,7
საკრამენტო	19	24	44,2
კლიპერსი	13	28	31,7

ᲥᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ
QUARTZITE

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. «ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ». 16 ᲡᲗ

ᲪᲝᲢᲐ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ



ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოს ნაკრებმა თბილისურ თოვლ-ჭყაპში მეორე ვარჯიში გამართა. „ლელოების“ ავსტრალიელმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა გუნდი ძირითადად კომბინაციების დამუშავებაზე ავარჯიშა. ჩვენებმა სიახლეები ნელნელა აითვისეს. ყოველ შემთხვევაში, ტიმ ლეინი გუშინდელი დღით კმაყოფილი დარჩა. „დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ პორტუგალიასთან მატჩამდე ბიჭები შეძლებენ ახალი კომბინაციების დახვეწას. იმედი მაქვს, რომ ორ დღეში გუნდი მოსაგებად მზად იქნება“ — გვითხრა ტიმ ლეინმა.

საქართველოს ნაკრები საპორტუგალიოდ გაფართოებული 30-კაციანი შემადგენლობით ემზადება. ჩვენებს ახალი მთავარი მწვრთნელი კი სამატჩო 22-კაცი განაცხადს თამაშამდე ერთი დღით ადრე ჩამოწერს. მანამდე კი ტიმ ლეინის განკარგულებაში ეს მორაგბეები არიან:

შერკინება: დავით დადუნაშვილი, გოდერძი შველიძე, დავით ქუბრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, კახა უჩავა, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, რატი ურუშაძე, დავით ბასილაია, ზვიად მისურაძე

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი კაჭარავა, დავით კაჭარავა, რევაზ გიგაური, ოთარ ბარკალაია, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი, ლაშა მალაღურაძე, ლაშა ხმალაძე, გიორგი ელიზბარაშვილი, სანდრო ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა, ირაკლი ჩხიკვაძე, თემურ სოხაძე, ალექსანდრე თოდუა

ჩვენების მეტოქე, პორტუგალიის ნაკრები ხვალ დილით, გამთენიისას ჩამოფრინდება.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ



ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ ᲣᲔᲚᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ

სანამ საქართველოს ნაკრები თბილისურ თოვლ-ჭყაპში პორტუგალიასთან მატჩისთვის ემზადება და საამისოდ მხოლოდ ხუთი დღე აქვს, მისი მთავარი და პრინციპული საერთათასო მეტოქეები — რუმინეთი და რუსეთი — თბილ ქვეყნებში გრძელვადიან უცხოურ შეკრებებზე არიან და ახალი სეზონისთვის ძვალ-რბილს კომფორტში და ძლიერ მეტოქეებთან სპარინგში იხურებენ

კლოდ სორელის რუსეთი საშრეთ აფრიკაში ემზადება

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲘᲚᲘᲗᲘᲡᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

პორტუგალიის მერე, ერთ კვირაში, საქართველოს ნაკრები რუმინეთს მასპინძლობს და თხრობა კარპატელთა შეკრებით დავიწყოთ. ჩვენების არ იყოს, რუმინეთის ნაკრებშიც დაიწყო თაობათა ცვლა და მათაც აქცენტი შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებზე გააკეთეს. მით უმეტეს, საკლუბო რაგბი იქ ძალიან განვითარებულია და კლუბები სტაბილურად თამაშობენ ევროთასებზე. ისიც ვთქვათ, რომ ჩვენი „ლელოების“ სამი მორაგბე — ბიძინა სამხარაძე, ირაკლი ნატრიაშვილი და კახა უჩავა კონსტანცას „ფარულში“ თამაშობენ.

ულეგიონერებო „მუხის ფოთლებმა“ უელსში გაიარეს 10-დღიანი შეკრება. რუმინელები უელსში 20 იანვარს ჩაფრინდნენ, გუშინ კი შინ დაბრუნდნენ. ამ ხნის მანძილზე მათ ორი სპარინგ-მატჩი უნდა ეთამაშათ, თუმც პირველი, იქაურ პროვინციულ კლუბ „მერტირ ტიდვილდთან“ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჩაეშალათ. გუშინ კი კარპატელები უელსურ „ნითსს“ ესპარინგნენ და 0:17 წააგეს. როგორც რუმინეთის რაგბის კავშირის ვებგვერდზე ვკითხულობთ, მეორე ტაიმში უელსელმა მსაჯმა სამი რუმინელი მორაგბე ათი წუთით გააძევა მოედნიდან, ორს კი სულაც პირდაპირ წითელი ბარათი უჩვენა. „მსაჯი მასპინძლებს აშკარად მიეშხრო და ერთი საჯარიმო ლელო ჩაუთვალა. ანგარიში კი მატჩის რეალურ სურათს არ ასახავს“ — წერენ რუმინელები.

ისე, კარპატელთა რაგბისთვისაც ზღვარგადასული ურჯულკობა საქვეყნოდ ცნობილია და არა გვგონია, მარტო მსაჯს „ენადიროს“ მორაგბეებზე.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

რუსეთის ნაკრები შეკრებაზე სამხრეთ აფრიკაში ერთი კვირის წინ გაემგზავრა, იქ 6 თებერვლამდე დარჩება, 8 თებერვალს კი რუსები ერთა თასის მატჩში პორტუგალიას ეთამაშებიან. რუსებისთვის სამხრეთაფრიკული შეკრებები ძველი ამბავია. უწინ „დათვები“ ქართელებთან დაძმაკაცებული პრეტორიის „ბლუ ბულზთან“ გადიოდნენ ერთობლივ წვრთნებს და აფრიკელებს თავისთანაც ეპატიჟებოდნენ. ახლა კი ჩვენმა მეზობლებმა პარტნიორი შეცვალეს და პოტჰეტრომის „ლეოპარდს“ დაუმეგობრდნენ. სხვათა შორის, ამ გუნდს რუსეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ჯეიმს შტოფბერხი თავკაცობს და სწორედ მისი დახმარებით მოხერხდა რუსთა ორკვირიანი შეკრების მოწყობა.

ჩვენმა ყოფილმა მწვრთნელმა, ახლა კი რუსეთა თავკაცმა კლოდ სორელმა სამხრეთ აფრიკაში 27 მორაგბე წაიყვანა და მათ შორის არ არის ორი კინკილა ლეგიონერი, საფრანგეთში მოთამაშე ვიაჩესლავ გრაჩოვი და კონსტანტინ რაჩკოვი. ორივე მათგანმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. ესეც რომ არ იყოს, კლუბები ორი კვირით მაინც არ გაუშვებდნენ.

რუსეთის ნაკრებმა უკვე ითამაშა ერთი სპარინგ-მატჩი და „ლეოპარდთან“ 54:29 წაგო. პირველ ტაიმი სორელის შეგირდებმა მხოლოდ 12:14 დათმეს, მეორე ტაიმში კი ათი ცვლილება გააკეთეს და აწყვეტილ აფრიკელებს ველარ დაუდგნენ.

სორელის სამწყსო აფრიკაში კიდევ სამ სპარინგს გამართავს. მათი მეტოქეები საკმაოდ ძლიერი ბრაკპანის „ფალკონზი“, იოჰანესბურგის „ლაიონზი“ და ვიტბანკის „პუმასი“ იქნებიან.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

თავში მაინც ცირეკიძეა

თბილისის მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ ევროპის ძიუდოს კავშირმა მორიგი რეიტინგები გამოაქვეყნა. ახალ კლასიფიკაციაში ერთბაშად 38 ქართველი ძიუდოისტი მოხვდა, რომელთაგან საუკეთესო მაჩვენებელი ირაკლი ცირეკიძეს აქვს. ქუთაისელ ძიუდოისტს 90 კგ წონით კატეგორიაში 134 ქულით პირველი ადგილი უკავია, ხოლო ამავე წონაში თბილისური ტურნირის გამარჯვებული ზურაბ ზვიადაური მხოლოდ მერვეა. 150 ქულით 66 კგ-ში მეორე საფეხურზეა თბილისის ტურნირის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი, ხოლო ნესტორ ხერგიანსა და ლევან ჟორჟოლიანს, შესაბამისად 60 და 100 კგ კატეგორიებში მესამე პოზიციები უკავიათ.

ᲯᲘᲣᲓᲝᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

	60 კგ	
1	რუბენ ჰოუკსი (ჰოლანდია)	135
2	ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი)	130
3	ნესტორ ხერგიანი	118
39	ვახტანგ ხოსიტაშვილი	17
46	ბეთქილ შუკვანი	13
104	დავით ასუმბანი	2
104	უშანგი კუზანაშვილი	2
	66 კგ	
1	იორდანის არენსიბია (კუბა)	150
2	ზაზა კედელაშვილი	150
3	ჟოაო დერლი (ბრაზილია)	145
46	მინდია ხომიზური	14
57	სანდრო იაკობაშვილი	8
67	ვახტანგ ხოსიტაშვილი	5
121	უჩა ხუციშვილი	1
121	გიორგი ფერსაშვილი	1
	73 კგ	
1	ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი)	115
2	რასულ ბოკიევი (ტაჯიკეთი)	104
3	კი ჩუნ ვანგი (კორეა)	101
12	დავით ქევხიშვილი	53
38	დავით კუპრაშვილი	22
67	დავით ბოდაველი	7
71	ზაზა კედელაშვილი	5
71	გიგა წიკლაური	5
89	მინდია ხომიზური	3
107	ზურაბ დილებაშვილი	2
118	დავით კობერიძე	1
	81 კგ	
1	ტიაგო კამილო (ბრაზილია)	118
2	გიომ ელმონტი (ჰოლანდია)	108
3	ევონ ბარტონი (დიდი ბრიტანეთი)	107
16	გიორგი ბაინდურაშვილი	47
22	გრიგოლ მამრიკიშვილი	32
31	გრიგოლ შინჯიკაშვილი	23
43	საბა გავაშელიშვილი	17
81	ლევან წიკლაური	3
	90 კგ	
1	ირაკლი ცირეკიძე	134
2	ილიას ილიადისი (საბერძნეთი)	130
3	ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი)	81
8	ზურაბ ზვიადაური	70
62	მინდია ბოდაველი	5
75	იოსებ მსხალაძე	3
75	დავით ლორიაშვილი	3
	100 კგ	
1	დანიელ ჰადფი (უნგრეთი)	152
2	ორეიდის დესპაინი (კუბა)	122
3	ლევან ჟორჟოლიანი	120
13	ლევან რაზმაძე	66
39	გიორგი ყიზილაშვილი	14
39	ნოდარ მეტრეველი	14
	მძიმე	
1	ტედ რინერი (საფრანგეთი)	180
2	ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)	150
3	მარტინ პადარი (ესტონეთი)	102
4	ლაშა გუჯეჯიანი	95
12	ზვიად ხანჯალიაშვილი	56
18	ადამ ოქრუაშვილი	45
37	ლევან რაზმაძე	17



ᲖᲐᲖᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა „თბილისის მსოფლიოს თასი“ ნაყოფიერად მოილია და ახლა მომავალი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ტურნირებისთვის განაგრძობს მზადებას — „ᲯᲣᲓᲝ“ გამძაფრებული კონკურენციის ფონზე თითოეულ ტურნირს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქართულ ძიუდოს ტალანტები არასდროს აკლდა. დღეს ნაკრებში თავმოყრილი ახალგაზრდა ბიჭებიდან თუ ვინმეზე იტყვი, პერსპექტიულიაო, ერთ-ერთი მათგანი უთუოდ 22 წლის ლომერ ჟორჟოლიანია, ვინაც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმაო წარმატებებს მიაღწია და ქართველი ქომაგის სიყვარულიც დაიმსახურა. ლომერმა ესოდენ პრესტიჟული თბილისის თასი ზედიზედ მეორედ მოიგო და ევროპის ჩემპიონატისთვის ილესავს კბილებს. გუშინ *ლომერ ჟორჟოლიანი* „სარბიელის“ რედაქციაში გვეწვია, მოგებულ თბილისის თასზე ისაუბრა და სამომავლო გეგმებსაც შეეხო

თბილისში ჭიდაობას სხვა გემო აქვს

ლომერ ᲩᲝᲠᲩᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ

— ტურნირს სათანადოდ მომზადებული ვერ შევხვდი. ოჯახური მიზეზების გამო წინა ღამე თეთრად გავათენე და სათანადო ფორმაში არ ვიყავი. ამის მიუხედავად, თბილისის თასი მოვიგე და ძალიან ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ ქართველი ქომაგის გახარება მოვახერხე. სიმართლე გითხრათ, ჩემპიონობას არც ვგეგმავდი, ვფიქრობდი, რაც შეიძლება წინ წავსულიყავი და რომელიმე სინჯის მედლისთვის მებრძოლა, მაგრამ ყოველი გამარჯვების მერე რწმენა მემატებოდა და ჩემ თავს ვეუბნებოდი, რომ მეტიც შემეძლო. საბედნიეროდ, ღვთის ნებით ჩემპიონობა ვიზეიმე.

— შენს ბადეში უძლიერესი ძიუდოისტები მოხვდნენ და საჩემპიონო გზის გასაგრძელებლად ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონების ჩამოშორება მოგიხდა. ყველაზე დაძაბულ პაექრობად რომელს მიიჩნევ?

— მართლაც ურთულესი შეხვედრების ჩატარება მომიწია, განსაკუთრებით კი ბელარუს სპორტსმენთან პირველ დაპირისპირებას გამოვარჩევ. ის ტიტულიანი ძიუდოისტი არ არის, უბრალოდ, რადგან პირველი გასვლა იყო ტატამზე, ვნერვიულობდი, თან მას ევროპის ჩემპიონატზეც ვეჭიდავე და იქაც გამიჭირდა. იმასაც ვიტყვი, რომ გამარჯვებაში ქართველი ქომაგიც ძალიან დამეხმარა. უდიდესი სტიმულია, ათი ათასი ქართველი მთელი შეხვედრის მანძილზე რომ გამხნევებს. თბილისში ჭიდაობა ამ მხრივ ბევრად იოლია, ვიდრე საზღვარგარეთ, თუმც ეს დამატებით პასუხისმგებლობასაც გაკისრებს. ასევე რთული იყო ჰოლანდიელ ევროპის ჩემპიონ ვან დერ გესტთან გამარჯვება.

— „თბილისის მსოფლიოს თასი“ შარშანაც მოიგე, როცა იაპონელი ძიუდოისტი წააქციე და ნაკრების თავკაცს და ქომაგს დიდი სიხარული მიანიჭე. ამ მხრივ წლეულსაც გამორჩეული იყავი. შენთვის უფრო მნიშვნელოვანი რომელი გამარჯვებაა?

— შარშან თბილისის თასი პირველად მოვიგე და ბუნებრივია, ძალიან გამიხარდა, თუმც მე მაინც წლევანდელს გამოვარჩევ. ალბათ იმიტომაც, რომ უფრო რთული მოსაპოვებელი იყო. ხალხმა გამიცნო და, შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდა. ამას ნამდვილად ვგრძნობდი და ვნერვიულობდი კიდეც.

— დიდებში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველად იჭიდავე და ორივეჯერ მე-5 ადგილს დასჯერდი. გამოდის, რომ მედლამდე ძალიან ცოტა დაგაკლდა. რა იყო ის, რისმა არქონამაც საპრიზო ოთხეულში არ მოგახვედრა?

— ალბათ მაინც გამოუცდელობა — ასეთ მნიშვნელოვან ტურნირებზე მანამდე არ გამოვსულვარ და ამან გავლენა იქონია. თან ბევრ მოწინააღმდეგეს თითქმის არ ვიცნობდი. გული ძალიან დამწყდა, მედლამდე ორჯერვე ნაბიჯი დამაკლდა. თუმც რას ვიზამ, ყველაფერი წინ მაქვს...

— უკვე ბევრ ტიტულიან ძიუდოისტს შეხვედრიხარ და ბევრიც დაგიმარცხებია, ვინმეს თუ გამოარჩევ?

— რუსი გასიმოვი უხერხული მეტოქეა. ევროპის ჩემპიონატზე ფინალში გადასასვლელი ჭიდაობა დამატებით დროში მან მომიგო. თუმც იქ მე შევცდი და ესეც გამოუცდელობით მომივიდა. გერმანელი იურაკიც მაგარი ბიჭია, მემარცხენეა და რთულია მისი დამარცხება.

— ლიცენზია უკვე გაქვს და ბუნებრივია, ოლიმპიური თამაშებისთვის განსაკუთრებით ემზადები...

— ყოველი დღე გაწერილი გვაქვს, ვიცით, როდის რა უნდა გავაკეთოთ. ჩემი ოცნება ოლიმპიადაზე გამოსვლაა და ბედნიერი ვიქნები, ამის საშუალება თუ მომეცემა. შრომას და მონდომებას არ დავაკლებ, რომ იქ ღირსეულად გამოვიდე და ქართველი ხალხი გავახარო.

მანამდე კი ჯერ საერთაშორისო ტურნირები და ევროპის ჩემპიონატი გველის. ახლაც პარიზის მსოფლიოს თასისთვის ვემზადებით. იქ შეიძლება ვერ გამოვიდე იმის გამო, რომ ლიცენზია მაქვს და დამასვენებენ, ოღონც ტურნირის შემდეგ საფრანგეთში 30 ქვეყანა რჩება ერთობლივი ვარჯიშებისთვის და მეც მოვემზადები. უდიდესი მოლოდინი მაქვს ევროპის ჩემპიონატისაც. მინდა, იქიდან მედლით დავბრუნდე.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲚᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

თბილისის ტურნირის ფინალში ლომერ ჟორჟოლიანმა ილიას ილიადისი დაამარცხა

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲝ

შვედეთით ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მეკარემ შოთა თევზაძემ 20 იანვარს „ჩელენჯ-ტროფი“ მოიგო და ნორვეგიიდან პირდაპირ შვედეთში წავიდა, სადაც იქაურ „მალმიოსთან“ სეზონის ბოლომდე სამთვიანი კონტრაქტი გააფორმა. ნაკრების მთავარ კიპერს რუმინული ვარიანტიც ჰქონდა, რაც გასულ წელს „სარბიელსაც“ უთხრა, მაგრამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ მაინც შვედური ვარიანტი არჩია. პირველი წრის მერე თოთხმეტგუნდა ჩემპიონატში „მალმიო“ ბოლოსწინა ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბრძოლა მოუწევს. მეორე ლიგაში დაქვეითება ორ უცუდესს ემუქრება, მომდევნო ორი კი პლეი ოფში ჩაებმება. შოთას წინამოსამზადებელ ამხანაგურ თამაშებში მუდმივად ძირითადში უწევს ყოფნა და საერთო სიტუაციითაც კმაყოფილია. თუ ისე მოხდა, რომ სეზონის ბოლოს ორივე მხარეს თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი ექნება, მაშინ კონტრაქტი გაგრძელდება.



ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში
ბათუმი 29-30 იანვარი

84 კგ

1. ვლადიმერ გეგეშიძე
2. დავით ქარჩავა
3. ზაზა შავაძე
3. დავით უბირია

96 კგ

1. გივი მორჩილაძე
2. გენადი ხელია
3. გელა ჩხაიძე
3. ალეკო ბურდივაძე

120 კგ

1. რევაზ ჭელიძე
2. გურამ ფერსელიძე
3. ოთარ ბოლქვაძე
3. დიმიტრი ჯავახიშვილი

FedCup

ფედერაციის თასი. ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფი
ბუდაპეშტი. უნგრეთი. 30 იანვარი — 3 თებერვალი

მეშვიდე ასეულში ბელარუსს არ ეყო

C ჯგუფი

ბელარუსი 3:0 საქართველო

1:0 დარია კუსტოვა — სოფო ქვაცაბაია 7:5 6:2
2:0 ოლგა გოვორცოვა — ოქსანა კალაშნიკოვა 6:2 3:6 6:3
3:0 ეკატერინა ბოჰუში, კუსტოვა — ეკა გორგოძე, თათია მიქაძე 6:0 6:0

შვედეთი 3:0 სლოვენია

1:0 იოანა ლარსონი — მასა ზეკ პეშკირიჩი 6:3 6:3
2:0 სოფია არვიდსონი — ანდრეა კლეპაჩი 6:2 6:1
3:0 არვიდსონი, ლარსონი — კლეპაჩი, ზეკ პეშკირიჩი 6:4 7:6

მარცხიანად დაიწყო საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებისთვის უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ფედერაციის თასის ევროფრიკული ზონის პირველი ჯგუფის ტურნირი — ლალი ზერეკიძის გუნდი უშანსოდ, მშრალი ანგარიშით დამარცხდა ბელარუსის ნაკრებთან.

მეორედან პირველ ჯგუფში შარშან აღზევებული საქართველოს ნაკრებისთვის პროგრამა მაქსიმუმი ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა, რაც ადვილი საქმე ნამდვილად არ გახლავთ, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ლალი ზერეკიძეს ბუდაპეშტში რეიტინგის მიხედვით ექვსი საუკეთესო ჩოგბურთელი აკლია. ყველაზე დიდი დანაკლისი ნაკრების ლიდერის, მაკა ჩახნაშვილის არყოფნაა, მაგრამ ამ ფაქტს ვერსად გავექცევით, თანაც ლიდერები, არც ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს, ბელარუსსა და სლოვენიას ჰყავთ. ლაპარაკია WTA-ს რეიტინგის 24-ე და 28-ე ნომრებზე ვიკტორია აზარენკასა და კატარინა სრებოტნიკზე.

ბელარუსები აზარენკას გარეშეც მძლავრ ძალას წარმოადგენ — ოლგა გოვორცოვა მიმდინარე კლასიფიკაციაში ორმოცდამეშვიდეა, ხოლო კუსტოვას 188-ე პოზიცია უკავია და ეს მაშინ, როდესაც ქართველთაგან საუკეთესონი, ოქსანა კალაშნიოვა და სოფო ქვაცაბაია მეშვიდე ასეულში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, გუშინდელი მარცხი ლოგიკური იყო და თანაც, ქვაცაბაია პირველ სეტში, ხოლო კალაშნიკოვა მთელი ორი სეტის მანძილზე, თანაბრად ებრძოდნენ მეტოქეებს.

გუშინვე ჩვენს ჯგუფში შვედებმა ასევე მშრალი ანგარიშით და თანაც სეტისწაუგებლად დაამარცხეს სლოვენიელები და პირველივე დღის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ ზერეკიძის შეგირდების შანსი სლოვენიელებთან მატჩშია. ანდრეა კლეპაჩთან (146) და მასა ზეკ პეშკირიჩთან (167) თამაში შეიძლება და თუ ჩვენებმა მოახერხეს სამხრეთელ სლავთა ძლევა, ზემოთ ნახსენები პროგრამა-მაქსიმუმი შესრულებული იქნება. არადა, მაშინ ქართველ ჩოგბურთელებს სხვა ჯგუფების უსუსტესებთან პლეი აუტში მოუწევთ თამაში, რათა ორ უიღბლოს შორის არ მოხვდნენ და პირველ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნონ.

ოქსანა კალაშნიკოვა

ახალი ფიშერი, თუ ჭადრაკის ფედერერი



17 წლის მაგნუს კარლსენმა ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი მოიგო და სპეციალისტებიც აალაპარაკა, პატარა ასე თამაშობს და რომ გაიზრდება, მერე რაღას იქმსო. იგი ბევრმა ყმაწვილ ბობი ფიშერს შეადარა და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველა. სუპერტურნირის მიმდინარეობისას მსოფლიოს მე-10 ჩემპიონი გარდაიცვალა, რის გამოც გაზეთებმა მეორე დღეს ასეთი სტატია გამოაქვეყნეს — „გენიოსები მიდიან. გენიოსები მოდიან“ პატარა ვიკინგმა მართლაც კარგად დაიწყო, მაგრამ ფიშერობამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

კარლსენმა ვეიკ ან ზეეში პირველად 2004 წელს ითამაშა. 15 წლის ვუნდერკინდი მაშინ C ჯგუფში თამაშობდა და პირველობა არ გასჭირვებია. მომდევნო წელს მან B ჯგუფი მოიგო და წლეულს ელიტაც დაიპყრო. სუპერტურნირზე ნორვეგიელი რეიტინგით მეათე იყო, თუმც ამას წარმატებისთვის ხელი არ შეუშლია და 13 შესაძლებლობიდან 8 ქულა აიღო. მან 5 პარტია მოიგო, 2 წააგო, 6 კი ყაიმით დაასრულა.

მსოფლიოს ექსჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი მაგნუსს მე-12 ტურში თეთრი ფიგურებით დაუპირისპირდა და დიდი ალიყურიც მიიღო.

„კარლსენი მშვენივრად თამაშობს და ყველა გრანდს ღირსეულად ეპაექრება. იგი ჯერ ანანდი არ არის, თუმც დიდი პოტენციალი გააჩნია და მუშაობა მართებს. შესაძლოა მისი სახით მსოფლიოს მალე ჭადრაკის ფედერერი მოევლინოს და ყველა ტურნირზე ფავორიტად ჩავიდეს. ორი-სამი წელი, მგონი, შევძლებთ მასთან ბრძოლას, მერე კი არ ვიცი“ — განაცხადა კრამნიკმა.

საქები სიტყვები არ დაიშურა ვეიკ ან ზეეს მეორე გამარჯვებულმა ლევონ არონიანმაც:

„ბიჭი მშვენივრად თამაშობს! ასე კარგად მოთამაშე ახალგაზრდა საერთოდ არ მინახავს. იგი სტაბილური არ არის, თუმც გრანდებთან ღირსეულად გამოდის და დიდ თავსატეხს გვიჩენს.“

კასლსენს მალე მეორე დიდი სუპერტურნირი, მორელია-ლინარესი ელის. იგი ამ გათამაშების მოგებასაც აპირებს და ფიდეს რეიტინგში, სავარაუდოდ, 50 პუნქტს მოიმატებს.

ჰოლანდიაში კარლსენს მამა და 10 წლის დაც ახლდნენ. როგორც ამბობენ, ჭადრაკს დაც კარგად თამაშობს და ალბათ ძმის კვალს გაჰყვება.

ლაშა გეგეჭკორი

რეგულარული ჩემპიონატი

29 იანვარი

ბოსტონი 3:1 ნეშვილი
0:0 1:1 2:0
1:0 შტურმი (30), 1:1 რადულოვი (40), 2:1 მეტროპოლიტი (46), 3:1 მეტროპოლიტი (56)

ტამპა 2:4 ბუფალო
0:2 1:2 1:0
0:1 მაკარტური (5), 0:2 პომინვილი (13), 0:3 სტეფორდი (30), 0:4 როი (37), 1:4 რიჩარდსი (40), 2:4 პროსპალი (53)

აილენდერსი 2:5 ოტავა
0:2 1:1 1:2
0:1 მესაროში (10), 0:2 ფილიპსი (10), 0:3 მაკამონდი (27), 1:3 ბერგენჰეიმი (36), 2:3 ბერარი (47), 2:4 ფიშერი (56), 2:5 სპეცა (59)

ფილადელფია 3:2 ლოს ანჯელესი
0:0 1:1 1:1 1:0 (ოვერტაიმში)
1:0 კობერნი (21), 1:1 კოპიტარი (22), 2:1 განე (44), 2:2 მაულსონი (53), 3:2 ჰარტნელი (65)

კაროლინა 3:1 რეინჯერსი
0:1 2:0 1:0
0:1 შენაჰენი (2), 1:1 სამსონოვი (27), 2:1 ბრინდამორი (29), 3:1 ლეტოვსკი (44)

ნიუ ჯერსი 2:4 პიტსბურგი
1:0 1:3 0:1
1:0 რაპი (9), 1:1 სტაალი (22), 2:1 რაპი (34), 2:2 კრისტენსენი (35), 2:3 მელოუნი (37), 2:4 მელოუნი (46)

კოლუმბუსი 2:4 ფინიქსი
1:0 1:1 0:3
1:0 მოდინი (1), 1:1 მიულერი (28), 2:1 ჩიმერა (39), 2:2 ჩარნკვისტი (42), 2:3 მიულერი (54), 2:4 ვრბატა (60)

მონრეალი 4:0 ვაშინგტონი
3:0 0:0 1:0
1:0 შტრაიტი (10), 2:0 კოსტიცინი (17), 3:0 კოიეუ (19), 4:0 კოვალიოვი (60)

ტორონტო 2:3 სენტ ლუისი
1:2 1:1 0:0
0:1 ტკაჩუკი (2), 0:2 ტკაჩუკი (6), 1:2 ბლეიკი (13), 1:3 ბეკსი (31), 2:3 სტეიჯანი (36)

ედმონტონი 0:3 სან ხოსე
0:0 0:2 0:1
0:1 პაველსკი (31), 0:2 გრირი (40), 0:3 რისმილერი (60)

ვანკუვერი 3:4 დალასი
1:1 0:2 2:1
0:1 დეილი (16), 1:1 ჰ. სედინი (19), 1:2 მოდანო (22), 1:3 რობიდა (25), 1:4 ოტი (48), 2:4 კესლერი (52), 3:4 ნესლუნდი (59)

| აღმოსავლეთი | | |

ახალი ჰონდა: ბრაუნის გენია და იაპონელთა ამბიცია

როს ბრაუნი და მისი ახალი ქმნილება

შარშანდელი სეზონი ალბათ უცუდესი იყო იაპონური ავტოგიგანტის, „ჰონდას“ საპირველფორმულო ისტორიაში. კოსმოსური თანამგზავრიდან გადაღებული დედამიწის ფოტოს ფერებში შეღებილი „ჰონდას“ ბოლიდებმა ოდენ ექვსი ქულა მოიპოვეს (ექვსივე ჯენსონ ბატონმა) და გუნდურ ჩათვლაში მერვე ადგილი დაიკავეს.

უარესი აღარ შეიძლებოდა და იაპონელები სასწრაფოდ დაფაცურდნენ. პირველი, რაც მათ გააკეთეს ის იყო, რომ მოახერხეს და, „ფერარიდან“ გადაიყვანეს თანამედროვე საპირველფორმულო ინჟინერიის გენია როს ბრაუნი და სწორედ მას ჩააბარეს გუნდის მართვის სადავეები.

ახალი, RA108 მოდელის „ჰონდამ“ უკვე გაიარა პირველი ტესტირება და ვალენსიის შემოგარენში მდებარე რიკარდო ტორმოს ავტოდრომის ტრასაზე 198 წრე გაიარა. ტესტირებას გუნდის საპრიზო პილოტები, ინგლისელი ჯენსონ ბატონი და ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო ახდენდნენ, რომლებიც, აგერ უკვე მესამე წელია, წყვილად დაჰქრიან იაპონური სუპერკონცერნის ბოლიდებით. ახალი მანქანის ოფიციალური პრეზენტაცია კი სამშაბათს, ინგლისურ ბარკლიში მდებარე გუნდის შტაბ-ბინაში მოხდა და სამასამდე სტუმრისა და ჟურნალისტის თვალწინ RA108 იაპონური საჯინიბოს ტესტ-პილოტმა, მრავალნაცადმა ავსტრიელმა ალექს ვურცმა გამოიყვანა.

პირველი თვალშისაცემი განსხვავება შარშანდელი მოდელისგან ის გახლავთ, რომ მანქანა თეთრია და დედამიწის ფოტო შემცირებული სახით, მხოლოდ პილოტის კოკპიტის გვერდებზეა გამოსახული. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ „ჰონდა“ უარს ამბობს თავისი კონცეფციის — „ჩემი ოცნების დედამიწა“ — განვითარება-გაგრძელებაზე. ამ პროექტზე, რომელიც გამიზნულია იმისთვის, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის პრობლემებს, „ჰონდამ“ 1,2 მილიონი დოლარი დახარჯა და პრეზენტაციისას გუნდის წარმომადგენლებმა პროექტში მხარდაჭერისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს თავიანთ პარტნიორს, საათების მწარმოებელ გიგანტ „სეიკოს“.

თუმცა, დავუბრუნდეთ ახალი მოდელის „ჰონდას“. შარშანდელისგან გარეგნული სხვაობა არაფერია, შთავარია, რომ ძირეულად შეიცვალა მანქანის აეროდინამიკური მაჩვენებლები, ელექტრონიკა-და გადაცემათა კოლოფი.

ამ ყველაფერზე ბარკლიში „ჰონდას“ ახალმა ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა ისაუბრა: „RA108-ს აბსოლუტურად ახალი აეროდინამიკური სქემა და მექანიკური სტრუქტურა აქვს. ახალი მანქანის შექმნისას უმთავრესი ყურადღება მიექცა მაღალი აეროდინამიკური ეფექტისა და გამძლეობის მიღწევას და ძარის მოდელი სხვადასხვა აერორდინამიკური ელემენტებისა და შეკიდულობის სისტემასთან მიმართებაში იქნა გაკეთებული. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მანქანის ელექტრონიკამ და გადაცემათა კოლოფმა და მათი კონსტრუქციის ოპტიმიზაციისა და საიმედოობისთვის მრავალრიცხოვანი ტესტები იქნა ჩატარებული საცდელ პოლიგონზე“.

რაც შეეხება გუნდის სამომავლო გეგმებს, ბრაუნ აცხადებს, რომ 2008 წლისთვის მათი მიზანია, „ჰონდა“ დაბრუნდეს იმ დონეზე, რომელზეც 2006 წლის სეზონის მეორე ნახევარში იყო, როდესაც გუნდი სისტემატურად იბრძოდა ქულებისთვის და უნგრეთში, „ჰუნგაროორინგზე“, ბატონმა დიდი პრიზიც კი მოიპოვა. ამის შემდეგ, უკვე სამომავლო წინსვლაზეც შეიძლება ლაპარაკი და სამომავლოდ კი, „ჰონდას“ მიზანი რომ ჩემპიონობაა, ეს არავისთვისაა ახალი ამბავი.

ნიკ ფრაი, „ჰონდას“ აღმასრულებელი დირექტორი: „შარშანდელი სეზონის შემდეგ, როდესაც იმედგაცრუებულნი ვიყავით, გუნდში მოვიწვიეთ დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები, რათა გავაძლიეროთ ჩვენი რესურსები და ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე ავიდეთ. კონკრეტულად, ბრაუნის მოსვლით, მთელს ორგანიზაციაში დამატებითი მოტივაცია და საკუთარი ძალების რწმენა გაჩნდა. მოხარულნი ვართ, რომ გუნდის კონსტრუქტორთა ძალისხმევით, ამ ეტაპისთვის დასახული ყველა მიზანი შესრულდა. ახლა საჭიროა სეზონის სტარტამდე დარჩენილი თვენახევარი სერიოზულად ვიშრომოთ, რათა ჩვენს მიზნებს ხორცი შევასხათ და ტრასაზე კარგი შედეგები ვაჩვენოთ“.

ტრასაზე კარგ შედეგებზე კი ბატონი და ბარიკელო არიან პასუხისმგებელნი. „შარშანდელი სეზონი ძალზე რთული იყო. სამაგიეროდ, ჩვენ მივხვდით, რომ ცვლილებები იყო საჭირო — თქვა ბატონმა და დაამატა — მოხარულნი ვართ, რომ ახალ სეზონს ახალი, კონკურენტუნარიანი ბოლიდით ვიწყებთ. ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. ჩვენ ეს შეგვიძლია და იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან, მიზანს მივაღწევთ“.

რაც შეეხება ბარიკელოს, ბრაზილიელმა ვეტერანმა უფრო საკუთარ თავზე ილაპარაკა: „არა მგონია, ეს ჩემი ბოლო სეზონი იყოს სამეფო რბოლებში. ჯერჯერობით ფიზიკურად მშვენივრად ვგრძნობ თავს და კარიერის დასრულებას არ ვაპირებ“.

ბოლოს „ჰონდას“ მმართველ დირექტორს, ჰიროში ოშიმას მოვუსმინოთ: „ახალი მანქანის პრეზენტაციით უაღრესად კმაყოფილი დავრჩი. ჩვენ უკან მოვიტოვეთ შარშანდელი საშინელი სეზონი და მუხლჩაუხრელად ვიშრომეთ, რათა ჩვენი საჩემპიონო ამბიციები რაც შეიძლება მალე დაკმაყოფილდეს“.

ძახა ლომაძე

მოსლის ფავორიტი ჰემილტონი

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ მაქს მოსლის აზრით, „მაკლარენის“ ახალგაზრდა ინგლისელი მრბოლი ლუის ჰემილტონი, რომელმაც შარშანდელი სეზონის მიწურულს საოცარი უიღბლობის გამო დაკარგა ჩემპიონის ტიტული, ადრე თუ გვიან მაინც გახდება ჩემპიონი და ეგ კი არა, იქნებ მიხაელ შუმახერსაც შეეცილოს ტიტულების რაოდენობით.

„ლუისი პირდაპირ ტიტულისკენ მიდის — ამტკიცებს მოსლი — თუ მას რაღაც ცუდი არ შეემთხვევა, რამდენიმე ჩემპიონატს მოიგებს, ხოლო, თუ ისევე დიდხანს დარჩება ფორმულაში, როგორც მიხაელ შუმახერი, მაშინ, არ გამოვრიცხავ, თუ დიად გერმანელსაც გადაასწრებს“.

შეგახსენებთ, რომ „წითელი ბარონი“ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია და ბევრის აზრით, ეს სამუდამო რეკორდი გახლავთ.

მოსლი თავისი ფავორიტისთვის არც რჩევას იშურებს: „მე მას ვურჩევდი, ფული ბანკში შეინახოს და არავითარი ყურადღება არ მიაქციოს იმ საქმეებს, რაც ტრასის მიღმა ხდება. სანამ ის სწრაფია, ისედაც ყველაფერი რიგზე იქნება“.



მაქს მოსლი

ძახა ლომაძე

პოლონეთში მესამე კუბიცა

„BMW-ზაუბერის“ პოლონელი პილოტი რობერტ კუბიცა თავის სამშობლოში, ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენ კაცთა სამეულში მოხვდა.

პოლონური გაზეთის „სუპერ ექსპრესის“ გამოთვლებით, კრაკოვის მკვიდრი კუბიცა წელიწადში მილიონნახევარ ევროს იღებს ხელფასის სახით და ამ მაჩვენებლით, მხოლოდ ფეხბურთელებს — მადრიდის „რეალის“ სათადარიგო გოლკიპერ ირჟი დუდეკს (2,2 მილიონი) და ასევე მეკარეს, გლაგზოს „სელტიკის“ კარის მცველ არტურ ბორუცს (1,6 მილიონი) ჩამორჩება.

ძახა ლომაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი ღარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00